# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · სამშაბათი, 19 ნოემბერი 1996 №122 (347) · ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# «შევარდენი» აღარ ხუმრობს

**შევარდენი 1:1 ბათუმი**

**შევარდენი:** ხიდამონიძე, თელიაშვილი, ვერემჩუკი, თ. კობიაშვილი, მინდიაშვილი, მელქაძე, როხტიაშვილი (გაგუა 88), კობეხაშვილი, კანკავა, გიორგი ქორიძე, ჩიგოშვილი
**ბათუმი:** ტოგონიძე, ხიჭინავა, მინდაძე, ტრაპაიძე, შეყილაძე, ი. მახარაძე, მ. მახარაძე, ლლონტი, ტულუში, უჯმაჯურიძე, ა. მუჯირი
1:0 ქორიძე (5), 1:1 უჯმაჯურიძე (87)
**მსაჯი:** თ. მაჭარაძე (ხონი)

მეორე ტურია, ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი „ბათუმი" სატურნირო ცხრილში მასზე გაცილებით დაბლა მდგომებთან ფრეს „ახერხებს". მაგრამ, თუ ხაშურში ბათუმელებმა 2 ქულა ნაღდად დაკარგეს. „შევარდენთან", შეიძლება ითქვას, ქულა მოიპოვეს. ძნელია, „ბათუმის" ასეთი მეტამორფოზების ახსნა, თუმცა ფაქტია, რომ გუნდი სტუმრად ლიდერისთვის საკადრისად ვერ ასპარეზობს. ახლა კი, სჯობს, თამაშის მსვლელობას მივყვეთ.

„როსის" ანუ როსტომ თორლაშვილის მცირე ტრავმამ შოთა ჭეიშვილს ტაქტიკური გადაადგილებები აიძულა. დაცვის მარჯვენაფლანგელი სიჭინავა მის ადგილზე განამწესა, ამის ნაცვლად კი მოედანზე მეორე მახარაძე — ივანე გამოუშვა, პირველს კი, — მალხაზს ტრადიციულად, ლიბეროობა დაეკისრა. მის წინ შეყილაძე თამაშობდა, მარცხნივ — მინდაძე, მარჯვენა ჰავბეკი ავთო ლლონტი გახლდათ. მარცხენა — მუჯირი. გამთამაშებელი ტულუში იყო, თავდამსხმელები კი — დათო უჯმაჯურიძე და გოჩა ტრაპაიძე.

„შევარდენმა" 3-5-2 ტაქტიკური სქემა არჩია. ლიბერო — ვერემჩუკი, კაცზე — თელიაშვილი და კობიაშვილი, ხაზზე მინდიაშვილი და კანკავა, საყრდენ — გამთამაშებლობა მელქაძე — კობესაშვილს და როსტიაშვილს ევალათ, თავდასხმაში კი ქორიძე და ჩიგოშვილი მოქმედებდნენ.

თამაშის დაწყებისას წუთიერი დუმილით პატივი მიეგო „შევარდენის" გუნდის უფროსს, ბატონ ომარ გუგუშვილის ხსოვნას. შავ სამკლაურიანი შევარდნელები მცდელობას არ აკლებდნენ, რათა გამარჯვებითაც მიეგოთ პატივი „მანუჩაროვიჩისთვის". მათ თავიდანვე აქტიური თამაში ამჯობინეს, ხისტადაც იბრძოდნენ და მეტოქეს სათამაშო სივრცეც შეუზღუდეს ნახევარდაცვის მობილური მოქმედების წყალობით. აქ ისაც უნდა ითქვას, რომ ბათუმელებს აშკარად ეტყობოდათ თორლაშვილის არყოფნა. თბილისელები სწრაფად, აზრიანად ათამაშებდნენ ბურთს, არ აყოვნებდნენ გადაცემებს მოედნის ცენტრში, ფლანგები ცენტრთან კარგად ურთიერთქმედებდნენ და, როგორც შედეგი, სტუმრებიც ხშირად ცდებოდნენ. გოლი მასპინძლებმა უკვე მე-5 წუთზე გაიტანეს. ჩიგოშვილის ჩაწოდებული ბურთი ქორიძემ კარში ისეთი ძალით დაარტყა პენალტის ნიშნულიდან, რომ ტოგონიძეს არავითარი შანსი არ ჰქონდა. გოლმა მასპინძლები გაამხნევა და თავიდან თანაბრად დაწყებული თამაში ნელ-ნელა მათთვის სასურველი კალაპოტით წარიმართა. უკვე მერამდენედ ვუყურებ შევარდენელთა თამაშს, ამათში ლიდერებთანაც და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ამ ახალგაზრდული გუნდისთვის ავტორიტეტი არ არსებობს — მათი მიზანი მხოლოდ მოგება გახლავთ. სატურნირო მდგომარეობამ არ შეგაცდინოთ — „შევარდენი" უდავოდ პერსპექტიული, სწორად მოაზროვნე მოთამაშეთა კრებულია, რომელსაც გამოცდილების შეძენის კვალობაზე უთუოდ მეტის მიღწევა ძალუძს. ფოთელებთან თამაშისას „შევარდენს" გამარჯვებისთვის „რაღაც" დააკლდა. ეს „რაღაც", ბათუმელებთანაც რომ მოისაკლისეს, — გამოცდილება და იღბალი — ბათუმელებს ჰქონდათ და აკი სწორედ ამის წყალობით გადარჩნენ წაგებას. გამოცდილი გუნდი ასე ბავშვურად, ბოლო წუთებზე არ გაატანდა ქარს ნალვაწ-ნაოფლარს.

რა თქმა უნდა, ბათუმელებს ცდა არაფრისთვის დაუკლიათ. მით უმეტეს, „ივერიასთან" ფრეს შემდეგ მოგება უცილობლად სჭირდებოდათ. მაგრამ მათ მოქმედებებში ერთი მომენტი შეინიშნებოდა — რატომღაც ზედმეტად თავდაჯერებულნი ჩანდნენ. შესაძლოა, ეს არც იყო ასე, მაგრამ ძნელი ასახსენლია, რატომ არ იყვნენ პირველივე წუთებიდან ბათუმელები მობილიზებულნი, ანუ ისეთნი, როგორიც საერთაშორისო შეხვედრებში გამოიყურებიან.

იხილეთ მეორე გვერდი

# ბარი-ბარში

საქართველოს XXIX პირველობა

18 ნოემბერი. ვაკე

**ყოჩები 16:13 გუმარი**

**(10:7).** მსაჯი პაატა ნარიმანაშვილი (42+44)

**ყოჩები:** ენუქიძე; ლაზაშვილი, საკანდელიძე, ბარძიმიშვილი, წიკლაური; ტეფნაძე, გიორხელიძე (ჰეიშვილი, 63); ჩიქავა, ჭავჭავაძე (ფირიაშვილი, 71), ახვლედიანი (ჩიქოვანი, 43); სულთანიშვილი, გუშარაშვილი; ჰელიძე, ცხვედიანი, ურუშაძე. — ლ: ჩიქავა (8); გ, 2ს (21, 67) და ა (84): ტეფნაძე

**გუმარი:** ბ. იურინი (ჯიმშელაძე, 59); კიზირია (ჯანელიძე, 18; ჩიქვინიძე, 43), კობახიძე, ობოლაძე, ბუგიანიშვილი; მაჩიტიძე, მოდებაძე; მთიულიშვილი, ხუციშვილი, ცაბაძე; ქერდიკაშვილი, მჭედლიშვილი; სორდია (ბესელია, 46), პარწიკანაშვილი, დიდებულიძე. — ლ: საჯარიმო (41); გ და 2ს (44, 70): მაჩიტიძე

ძალიან დიდ მატჩს ძალიან ცივი ამინდი შეხვდა. საზოგადოებამაც გაიხსენა წინა ზამთრები და თამაშს მოედნის კიდიდან უჭვრიტა, ეგების ჩამავალმა მზემ შეგვათბოსო. თანაც ყველას პირზე ფინალური ოთხეულის კიდევ ორი წრე ეკერა და მისი დასრულების ვადას რომ შეიტყობდა, შეიცხადებდა, ღმერთმა კარგი გაძლება მოგვცესო.

წლის წინა სამი მატჩიდან პირველი „ყოჩებმა" მოიგეს და „გუმარს" გამოზამთრებული სინი წაართვეს. შემდეგი ორ თამაში „გუმარმა" იმარჯვა – ჯერ სინი დაიბრუნა, მერე კი დაიცვა. მეოთხე მატჩი სინისთვის აღარ ყოფილა, მაგრამ წინეებს კი ბევრად აჯობა.

„ყოჩებს" აკლდა ლეჟავა, „გუმარს" კი სტადიონზე თანდათან მოუგროვდა საბრძოლო შემადგენლობა. ლიდერისათვის თამაში ისე არასახარბიელოდ წარიმართა, რომ დაშავებულებმა – ბესელიამ და ჯიმშელაძემაც ფორმა გადაიცვეს და თამაშში ჩაებნენ. კობახიძე შერკინებას დაუბრუნდა, კლუბისა და ნაკრების კაპიტანმა დიმა ობოლაძემ კი მთელი მატჩი უკანა ხაზში გაატარა: მეორე ნახევარში მარჯვენა გარემარბად რომ იდგა, რამდენჯერაც გაინავარდა, ხალხი იმდენჯერ ალტაცებით აახმაურა.

თუ წინა სამ შეხვედრაში ერთადერთი ლელო გავიდა, ამჯერად ორი ვიხილეთ: ერთი ძალისმიერ-გუნდური, მეორე – საჯარიმო. მონაწილეებმა კარში 20-ჯერ დაკრეს, მაგრამ მხოლოდ 7 გოლი გაიტანეს, რაც მატჩის სიმძაფრემ განაპირობა.

„ყოჩები" თავიდანვე დარაზმულიყვნენ და ტეფნაძის მიერ აცდენილი საჯარიმოს მერე ჩიქავას ლელოთი მალევე დაწინაურდნენ, მაგრამ მერე „გუმარმა" იგდო ხელთ ინიციატივა: მოდებაძეს ორჯერ, მაჩიტიძეს კი ერთხელ გაუცუდდათ გასატანი საჯარიმოები. უმალ ცხვედიანმა ჩაჭრა მეტოქის გადაცემა და ტეფნაძემაც 10 ქულით დააწინაურა თავისიანები.

30-ე წუთისთვის მზე ჩავიდა. გამოჩნდა „გუმარის" მორკინალთა უპირატესობა: „ყოჩებს" ისე უჭირდათ, რომ ზედიზედ ორჯერ შერკინებაც კი ჩააქციეს. მერე მაჩიტიძემ და ტეფნაძემ ძალზედ შორიდან ორ-ორი საჯარიმო ვერ გაიტანეს.

გუმარელის ბოლო დარტყმამ მაინც გაამართლა: „ყოჩებს" ბურთი თავიანთ ლელოში წინ გაუვარდათ, ხუთმეტრიან შერკინებაში კი მეტოქის მიწოლას ვერ გაუძლეს და საჯარიმო ლელოთი დაჯარიმდნენ, ხოლო თამაში რომ განახლდა, მაჩიტიძემ მოედნის ნაპირიდან ანგარიში გაათანაბრა 10:10.

საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ „გუმარის" მომრევი აღარავინ იყო. ჩიქვინიძემ ეფექტურად ჩამოიცილა მეტოქე, მერე „ყოჩებმა" თავიანთი შერკინება წააგეს და „გუმარმაც" მათს ლელოს უწია, მაგრამ მაჩიტიძემ 20 მეტრიდან უხეიროდ დაარტყა.

ლიდერის მიძალებამ კიდევ ბარემ ათი წუთი გასტანა. იაქტიურეს მოდებაძემ, ბესელიამ, ობოლაძემ, ჯარიმაც დაიმსახურეს, მაგრამ მოდებაძის მიერ 58-ე წუთზე დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, რამაც „გუმარი" ფსიქოლოგიურად გატეხა.

„ყოჩების" მთავარი მხტომელი ურუშაძე კვლავ და კვლავ იგებდა დერეფანს და ლომივით იბრძოდა. ერთი კონტრიერიშის დროს მძიმედ დასცეს გიორხელიძე და მის მაგივრად 37 წლის მალხაზ ჭეიშვილი შევიდა. სულ მალე ბესო ტეფნაძემ მორიგი გარღვევა მოაწყო, მაგრამ უბურთოდ შებოჭეს და „ყოჩების" დამრტყმელმაც ისევ დააწინაურა თავისიანები. სამი წუთის შემდეგ მაჩიტიძემ ისევ გაათანაბრა ანგარიში 13:13.

76-ე წუთზე „გუმარმა" მეტოქეს გადაცემა ჩაუჭრა და კინაღამ ლელო გაუტანა. აქ ხუციშვილს წარბი გაუკსდა და იქვე შეუხვიეს. „ყოჩებმა" შერკინებაში ისევ იდგლეს, მაგრამ მაჩიტიძეს კარში დარტყმისას ისევ სასწაული მარცხი შეემთხვა და თავისიანები ამჯერადაც ვერ დააწინაურა.

თითქოს ნაღდი ფრე იყო, მაგრამ „ყოჩები" მეთოდურად გადავიდნენ მეტოქის ნახევარზე, დერეფნის შემდეგ ჩიქოვანმა და ბაკურაძემ მწვავედ შეუტიეს, ბოლოს ურუშაძემ ტრადიციულად მოიგო დერეფანი და ტეფნაძემაც ახლოდან კადნიერი არეკნი შეაგდო 16:13.

„ყოჩებს" მოგება ისე გაეხარდათ, რომ დიდი ხვევნა-კოცნა გამართეს. პირველობისთვის ბრძოლაც გამწვავდა, მაგრამ მოსალოდნელ თოვლსა და სუსხს რა ვუყოთ?!

**გუშინვე „ქორები" „გელათს" უნდა წვეოდნენ, მაგრამ ქუთათურებმა შემოუთვალეს, ნუ ჩამოხვალთო.**

## ექვსეულის საბოლოო ცხრილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გუმარი | 24 | 21 | 0 | 3 | 676:210 | 95- 16 | 42 |
| ყოჩები | 24 | 19 | 0 | 5 | 747:200 | 106- 15 | 38 |
| ქორები | 24 | 17 | 0 | 7 | 458:216 | 61- 21 | 33 |
| აია | 24 | 12 | 0 | 12 | 472:259 | 61- 29 | 20 |
| ქიმიკოსი | 24 | 7 | 1 | 16 | 243:561 | 29- 84 | 14 |
| გელათი | 24 | 6 | 1 | 16 | 280:706 | 25-108 | 11 |

## ფინალური ოთხეულის თამაშთა განრიგი

**I ტური**
პარ 22. XI — გუმარი – ქორები; აია – ყოჩები

**II ტური**
სამ 26. XI — აია – გუმარი; ყოჩები – ქორები

**III ტური**
ორ 2. XII — გუმარი – ყოჩები; ქორები – აია

**IV ტური**
შაბ 7. XII — ქორები – გუმარი; ყოჩები – აია

**V ტური**
ოთხ 11. XII — გუმარი – აია; ქორები – ყოჩები

**VI ტური**
ორ 16. XII — ყოჩები – გუმარი; აია – ქორები

# მაშინ საქართველომ გაიხარა!

ზუსტად ოცდათორმეტი წლის წინ 1964 წლის 18 ნოემბერს უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში ქართველთა თბილისის „დინამომ" რუსების მოსკოვის „ტორპედოს" 4:1 მოუგო გადამწყვეტ მატჩში. ორიოდ თვის წინ ეს გუნდები უეფას თასზე შეხვდნენ ერთმანეთს, დღეს ყველაფერი ბუნებრივადაა, ასეთ შეხვედრას საერთაშორისო ჰქვია, მაშინ კი ერთი ქვეყნის ჩემპიონატი ერქვა, საშინელი, დატუთული ქვეყნის ჩემპიონატი და მასში გამარჯვება... ამას მხოლოდ გუშინდელნი თუ გაიხსენებენ და ტანში იმდროინდელი ჟრუანტელი დაუვლით.

ოცდათორმეტგზის გილოცავთ!

# «შევარდენი» აღარ ხუმრობს

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმელებსაც ჰქონდათ რამდენიმე საგოლე მომენტი, თუმცა კი ვერგამოიყენებული. თანაც, ძელებიც აქ არ იყო?! მუჯირისა და უჯმაჯურიძის დარტყმებისას „შევარდენი" ძელმა იხსნა.

35-ე წუთზე კი კვლავ ქორიძეს შეეძლო თავის გამოჩენა. მან საჯარიმოში მიიღო ბურთი, კარშიც დაარტყა, მაგრამ ტოგონიძემ იყოჩაღა.

მეორე ტაიმში ბრძოლა უფრო გამწვავდა. წაგების საფრთხემ ბათუმელები გაააქტიურა. მასპინძლებმა ამით ისარგებლეს კიდეც, რადგან სტუმრები დაცვაში ხშირად ქმნიდნენ თავისუფალ ზონებს, ანუ მეტოქისათვის სარგო სწრაფი კონტრშეტევების წინაპირობას. თანაც ბათუმელები მოედნის ცენტრში და კარის სიახლოვეს ხშირად სცდებოდნენ, რითაც თბილისელები უმალ სარგებლობდნენ და მეორე ტაიმში არაერთი სახიფათო შეტევაც განახორციელეს, თუმცა კი ჯეროვნად ვერ დააბოლოვეს. ბათუმელთაგან კი 54-ე წუთზე მუჯირის მშვენივრად შესრულებული ჯარიმა დაგვამახსოვრდა, რომელიც სიდამონიძემ მოიგერია. თუმცა, ზედ თამაშის მიწურულს „თხუნელა" მაინც შეცდა: ბათუმელებს ანგარიშის გათანაბრების ერთ-ერთი ბოლო შანსი ჰქონდათ, 88-ე წუთზე ლიბერო მახარაძე შეტევაში ჩაერთო, ბურთი საჯარიმოში დაჰკიდა, სიდამონიძე ბურთს ჩაუწვა, ხელიდან გაუვარდა, კართან ახლოს მყოფმა უჯმაჯურიძემ კი შესაძლებლობით ისარგებლა, გაიტანა და გუნდი მარცხისგან იხსნა.

„მანჩაროვიჩს" შევარდნელებმა, მართლა სამწუხაროდ, გამარჯვება ვერ უძღვნეს, თუმცა კარად, ლამაზად და გააზრებულად ითამაშეს. სწორედ ეს აღნიშნა თამაშის შემდეგ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ელგუჯა ხუციშვილმა:

— თამაშის ხარისხი, თავისთავად ურიგო არ გვქონია, მაგრამ ძალიან ბევრ საგოლე მომენტს ვერ ვიყენებთ. ამიტომაც გავუშვით ხელიდან მოგება.

**— ამდენ გამოუყენებელ მომენტს რით ახსნით?**

— ჩვენ ხომ, ფაქტიურად, უთავდამსხმელოდ გამოვდივართ. ჩუხუას და საბიაშვილის ტრავმებს მოჰყვა ის, რომ ნახევარმცველები თავდამსხმელებად გავამწესეთ. მათთან საპრეტენზიო რა უნდა მქონდეს, კარგად თამაშობენ, მაგრამ თავდამსხმელის ალღო სულ სხვაა, ის საგოლე ეპიზოდში უფრო უნარიანად ირჯება. მაგრამ მეორე წრეში ორივე თავდამსხმელი ფორმაში გვეყოლება, თანაც გაძლიერებასაც ვაპირებთ და იმედია, გაცილებით უკეთაც ვითამაშებთ. რაც მთავარია, გოლის გამტანი გვეყოლება.

**— „შევარდენმა" უპირატესობა აქტიური თამაშის წყალობით მოიპოვა, ოდნავი მოდუნება კი გოლად და ორი ქულის დაკარგვად დაგიჯდათ...**

— შესვენებაზეც გავუმეორე ბიჭებს თამაშამდე ნათქვამი — მოგებას მხოლოდ აქტიური თამაშის წყალობით შევძლებთ-მეთქი. მაგრამ ამ ფაქტორმა ითამაშა გადამწყვეტი როლი, რაც ჩვენსავით გამოუცდელებს ემართებათ — ბათუმი ძლიერი, გამოცდილი გუნდია და მის კარში ერთი გოლის გატანით შესაძლოა, ვერც იხეირო. ჩვენებმა ეს ვერ გაითვალისწინეს.

**— ფაქტია, „შევარდენი" ლიდერებთან რიდის გარეშე თამაშობს...**

— მე ფეხბურთელებს მუდამ ამას ვეუბნები — დღეს „დინამოს" გარდა ყველა მეტოქესთან შეიძლება ტოლ-სწორად თამაში და, ვფიქრობ, ჩემმა საუბრებმა გარკვეულწილად შედეგიც გამოიღო. თუმცა, სასურველ დონემდე მოთამაშეთა ფსიქოლოგიური მომზადება ჯერ ვერ შევძელით.

**— „შევარდენი" „უნივერსიტეტის" ბაზაზე შექმნილი გამოუცდელი გუნდია, ამის კვალობაზე თქვენი პირველი წრის შედეგს, განსაკუთრებით კი თამაშის ხარისხს, ურიგო არ ეთქმის...**

— ურიგო კი არა, პროგრამა — მინიმუმზე მეტს მივაღწიეთ.

**— მეორე წრეში რა მიზნებს დაისახავთ?**

— რა თქმა უნდა, სისულელე იქნება იმის თქმა, უეფას საგზურებისთვის ვიბრძოლებთ-მეთქი. მაგრამ გაძლიერების შემთხვევაში გაცილებით უკეთესი შედეგის მიღწევა შეიძლება. მეტსაც ვიტყვი, უკეთესის მიღწევა ამ ბიჭებითაც შეიძლება.

**მერაბ მამულაშვილი**

# გვირაბის ბოლოს სანთელი ბჟუტავდა

**დინამო 8:0 მარგვეთი**

**დინამო:** ზოიძე, კობიაშვილი, წ. ლობჟანიძე, დიდავა, ზ. ჭელიძე, გოგიჩაიშვილი, ჯამარაული (ანჩაბაძე 46), კერძევაძე, ცქიტიშვილი (ჩხაიძე 46), იაშვილი (დემეტრაძე 46)

**მარგვეთი:** გვენცაძე, მღლაყელიძე, ჟვანია, გ. თურმანიძე (ფინცხავა 70), ლონდაძე (გუბელაძე 46), კაციაშვილი, სულაყაძე, გეწაძე, წიკლაური, უკლება, ქებაძე (მაგულაძე 58)

**1:0 ჯამარაული (4) 2:0 იაშვილი (23) 3:0 კერძევაძე (24) 4:0 კობიაშვილი (27) 5:0 ცქიტიშვილი (29) 6:0 გოგიჩაიშვილი (44 პ) 7:0 იაშვილი (45) 8:0 დემეტრაძე (80)**

**მსაჯი:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ამ თამაშზე მოსულ არაერთ გულშემატკივარს უშეღავათო და დაძაბული ბრძოლის ხილვის იმედი ჰქონდა. ესენი თავიანთ მოსაზრებას ამგვარი არგუმენტით ამყარებდნენ: „დინამოს" ევროთასებიდან გამოთიშვის მერე მცირე ჩავარდნები მუდამ ჰქონდა, ასე ყოფილა ადრე, კერძოდ „ტიროლის" შემდეგ, ასე განმეორდება „ბოავიშტასთან" მარცხის მერეც. თან „დინამომ" სამი დღის წინ „მერანსაც" ვერ მოუგოო. სინათლის სტადიონზე გამართულ იმ მატჩზე თავად გახლდით და თუ ვინმეს ჩემი აზრი გაინტერესებთ, მოგახსენებთ: ის შეხვედრა რომ ფრედ დასრულდა, ეს დინამოელთა ჩავარდნით სულაც არ იყო გამოწვეული, პირიქით, ყოველივე მერანელთა მწვრთნელის თემურ მახარაძის შერჩეული სწორი ტაქტიკისა და მის განკარგულებაში მყოფი ფეხბურთელების თავდაუზოგაობის და დაკისრებული დავალების ზედმიწევნით შესრულების წყალობით იყო.

მოკლედ, გულშემატკივრებმა ბევრი იმარჩიელეს, მრავალი გაიხსენეს და მსაჯის სასტვენისთანავე კიდევ ერთი სენსაციის მოლოდინში მინდორს მიაჩერდნენ. „სამწუხაროდ", მათ ნაფიქრალს ახდომა არ ეწერა. რა საინტერესო თამაში, რის დაძაბული ბრძოლა... „დინამომ" პირველივე წუთიდან დაიწყო ზესტაფონელთა ბდღვნა და პირველი ორმოცდახუთი წუთი განუკითხავად კორტნა მარგველები. სტუმრები კი, ბედს შეგუებულნი, დასაკლავად გამეტებული ზვარაკივით საწყლად გამოიყურებოდნენ.არადა, დასაწყისისთვის მარგველებმა მასპინძელთა პირველი იერიშები თითქოს მოიგერიეს და გოლის გასვლას კი არა, საგოლე სიტუაციასაც არავინ ელოდა. ბურთი-ზესტაფონელ მცველებს ეპყრათ, მაგრამ ერთმანეთში იმდენი აგორავეს, სანამ დადარაჯებულმა იაშვილმა არ მოიხელთა. იაშკამ ბურთი მარჯვნივ წაილო და ცენტრში, ზედ საჯარიმოს ხაზზე მდგომ ჯამარაულს ზუსტად მიაწოდა, გოჩამ დაუხანებლად, ერთი მოქნევით კარის მარჯვენა დაბალ კუთხეში ჩასვა ბურთი. ყოველივე წამებში მოხდა და გვენცაძემ ბურთს თვალიღა გააყოლა. ამის შემდგომ, პირველსავე ნახევარში კიდევ ექვსი გოლი გავიდა, რანაირი და როგორი აღარ, მაგრამ ერთხელაც ვიტყვით, ეს არ იყო თმაში, მინდორი უფრო სასაკლაოს ჰგავდა, სადაც ერთი მეორეს უმოწყალოდ უსწორდებოდა. მეორე, მესამე და მეოთხე გოლები მთლიანად კიკნაძის დამსახურება გახლდათ. გიორგიმ თანაგუნდელებს იდეალური სიტუაციები შეუქმნა და მათაც არ უმტყუნეს. ეტყობა, კიკნაძეს დაღლამ გაუარა და აკი სხარტადაც გამოიყურებოდა. სასიამოვნო სიახლე გახლდათ ცქიტიშვილის სასტარტო შემადგენლობაში გამოჩენა. ცქიტომ დასძლია დროებით ჩავარდნა და ჩვეულად ათამაშდა. ყიფიანი არც შემცდარა, ლევანს რომ ძირითადში მიუჩინა ადგილი და მანაც გაილაღა. მოკლედ, პირველ ნახევარ საათშივე ყველაფერი გაირკვა. რაღა იყო საჭოჭმანო, როცა ანგარიშში სხვაობამ ხუთ ბურთს მიაღწია. ამის მერე იყო ის ეპიზოდი, რომელმაც ყველას ცალყბა ღიმილი მოჰგვარა: 44-ე წუთზე დიდავამ ბურთი სტუმართა კარისკენ ჩაჰკიდა, აქ ერთი შეხედვით, უწყინარ სიტუაციაში, ლონდაძემ რატომღაც ხელით ითამაშა, ალბათ წამოპარულმა კერძევაძემ შეაშინა. თითქოს სხვა გაჭირვება არ აკლდათ მარგველებს, მსაჯმა პენალტიც რომ დაუნიშნა. სწორედ ამაზე გაეღიმათ ფეხბურთელებს და მაყურებლებსაც, მაგრამ სადავო არაფერი იყო — დოგრაშვილმა საჯარიმოში მომხდარი უწესობა ზუსტად დააფიქსირა. თერთმეტმეტრიანი გოგიჩაიშვილმა გაიტანა. მსაჯს თამაშის პირველი ნახევრის დამთავრება კი სურდა, მაგრამ იაშვილმა არ აცალა: ზედ ორმოცდამეხუთე წუთზე ცქიტიშვილის გონივრული გარჯა არ გააცუდა და გვენცაძეს მეშვიდედ გამოატანინა კარიდან ბურთი. სტუმართაგან ერთად-ერთი შესაცოდი და ქების ღირსი სწორედ მათი კარის დარაჯი ვეფხია გვენცაძე თუ იყო. გოლკიპერმა არაერთი ძნელი ბურთი მოიგერია, მაგრამ მისმა თავგანწირვამ დანარჩენების შეცდომებს ვერაფრით უშველა.

აბა, მეორე ტაიმში რა თამაშიც იქნებოდა, თავად მიხვდებით. რაღა იყო საცქერ-საინტერესო, უბრალოდ, მატჩის ოქმისთვისღა ირჯებოდა ორივე მხარე. მარგველებმა მხოლოდ ორჯერ მოახერხეს და ზოიძე გადაახტუნეს. პირველად ირაკლიმ საჯარიმოში ჩაკიდებული ბურთი კუთხურზე მოიგერია, მეორედ კი თავგანწირვა მართლაც ღირდა: მასპინძელთა კარის სიახლოვეს დანიშნული ჯარიმა გეწაძემ კედელს ოსტატურად გადაატარა, ზოიძე ბურთს ვერ შესწვდა, მაგრამ კარი ხარიხამ იხსნა, შემდეგ კი მცველებმა სიტუაცია განმუხტეს. ამის მერე გოლის გატანა დინამოელებს, სულ ცოტა, სამჯერ შეეძლოთ, გოგიჩაიშვილი პირისპირ გავიდა გვენცაძესთან, ბურთის თავზე გადატარებაც მოუნდომა, მაგრამ მეკარემ ჩანაფიქრს მიუხვდა. კერძევაძის დარტყმული გვენცაძეს მარჯვენა ცხრიანიდან გამოაქვს, მერე კიკნაძის დარტყმულს დაუხვდა მარცხენა დაბალ კუთხეში. თითქოს ყველაფერი მინელდა, 7:0-ს შეცვლა აღარ ეწერა, მაგრამ დემეტრაძე რისი გიორგი იქნებოდა, შეცვლაზე შემოსულს სტუმართა ბადე არ შეერხია. დემემ თავისი გოლი მცველთან ჭიდილში შეაგდო. მართალია, მეკარე ბურთს ფეხით მისწვდა, მაგრამ ვერ შეაჩერა, ახლოდან დარტყმული მეტად ძლიერი გამოდგა. ამასობაში მსაჯმაც ჩასტვინა. ფეხბურთელების გასახდელებისკენ მიმავალი გვირაბი უშუქობის გამო ჩაბნელებულიყო. გვირაბის ბოლოს ვიღაც კეთილ ადამიანს სანთელი აენთო და ამან გამოგვაგნებინა. მეორე სანთელი მსაჯების გასახდელში დაედგათ და თამაშის ოქმს მის შუქზე ჩაჰკირკიტებდნენ. ეჰ, როგორ ჭირს ცხოვრება და ფიქრთგასართველად მოსული, მაგრამ გაწბილებული გულშემატკივარი იმის იმედით ტოვებდა იქაურობას, ეგებ სამ დღეში მაინც ვიხილოთ კაცური თამაში, როცა „დინამო" „ბათუმს" უმასპინძლებსო. ის, სანახავი შეხვედრა უკვე ნანახივით გადადებული იყო, მაგრამ მაყურებელებმა ამით რა ვიხეირეთ...

**მამუკა კვანტალიანი**



კერძევაძის ამ დარტყმის მერე ანგარიში 3:0-მდე გაიზარდა



გვენცაძეს კიდევ ერთხელ გამოაქვს ბურთი კარიდან

ასე იყო თუ ისე, ხაშურის „ივერიამ" ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე ჩაამთავრა. მართალია, გუნდის სატურნირო მდგომარეობა ერთობ არასახარბიელოა, მაგრამ თასის გათამაშებაზე ბრძოლას აგრძელებს, მაგრამ თასს [illegible] შეიძლება, გუნდი საერთოდ [illegible]. საქმე ის გახლავთ, რომ [illegible] ნოემბერს, „ბათუმთან" შინ ჩატარებული

## აირია „ივერია"

ლი შეხვედრის შემდეგ კლუბის 8 წამყვანმა ფეხბურთელმა განთავისუფლების ცნობა მოითხოვა — პირველი წრე კეთილსინდისიერად ჩავამთავრეთ, მაგრამ აწი აქ ველარ გავჩერდებით, შიმშილით დავიხოცებითო. თურმე, ნახევარი სეზონის განმავლობაში გუნდს მხოლოდ ორი თვის ხელფასი და ერთი პრემია მიუღია. ჩვენ კი ვიცოდით, რომ რაიონის ხელმძღვანელობა შეძლებისგვარად არაფერს აკლებდა „ივერიას". ცოდნა ერთია, მაგრამ საქმე თურმე სულ სხვაგვარად ყოფილა. ძალზე შეწუხებული და შემცბარია „ივერიის" თავკაცი მალხაზ ლაცაბიძე:

— ფეხბურთელებისთვის ხვეწნა არ დამიკლია, ყოველდღე დაპირებებით ვიტყუებდი ვარჯიშებზე მაგრამ აბა მათ გულშიც ჩავიხედოთ — ძნელია ოჯახის პატრონი კაცისთვის გამოცარიელებული ჯიბის ამარა ყოფნა. არადა, 8 ფეხბურთელის წასვლა ხომ, ფაქტიურად, გუნდის დაშლას ნიშნავს. ორიოდ დღეში თასის მერვედფინალური მატჩი გველის, მოთამაშეები კი ვარჯიშზეც არ დადიან...

თუ რაიონის ხელმძღვანელებს გუნდის ყოლა არ უნდოდათ, სეზონის დასაწყისშივე ეთქვათ, ახლა კი კეთილი ინებონ და დაწყებული შუა გზაზე არ მიატოვონ. მართალი ნათქვამია, თუ იტვირთავ, გასწიე კიდეცო, თორემ, ხაშურში გუნდი თუ დაეშალათ, იქაურ ქომაგებს ბურთაობის საცქერლად ან გორში მოუწევთ სიარული, ანაც გაღმა ზესტაფონში, მესამე ვარიანტად ტელევიზორი რჩებათ, მაგრამ ესეც შეიძლება გამოირიცხოს, არ ვართ ელექტროენერგიით განებივრებული და იმიტომ...

**მამუკა კვანტალიანი**

## მეორე ჯგუფი

### XV ტური

**აღმოსავლეთი**

შევარდენი 2 — ლოკომოტივი 1:5, ცხინვალი — არმაზი 1:0, შირაქი — დინამო 2 1:0, კოდაკო — 35 სტუ 1:1, მესხეთი — თორი 4:1, იბერია — შსს აკადემია 1:0, ჰერეთი — მორკინალი 1:2, მრეტები — დურუჯი 8:0, ჟინერი — ავაზა 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 15 | 13 | 2 | 0 | 38:5 | 41 |
| მორკინალი | 14 | 11 | 2 | 1 | 33:4 | 35 |
| ცხინვალი | 15 | 10 | 0 | 5 | 28:15 | 30 |
| კოდაკო | 14 | 9 | 3 | 2 | 22:11 | 30 |
| შირაქი | 15 | 7 | 5 | 3 | 22:18 | 26 |
| ასკ | 14 | 8 | 1 | 5 | 27:22 | 25 |
| არმაზი | 13 | 8 | 0 | 5 | 30:20 | 24 |
| შსს აკადემია | 14 | 7 | 1 | 6 | 34:18 | 22 |
| დინამო 2 | 13 | 6 | 3 | 4 | 25:15 | 21 |
| მრეტები | 14 | 5 | 5 | 4 | 25:19 | 20 |
| იბერია | 16 | 6 | 1 | 9 | 20:28 | 19 |
| 35-სტუ | 14 | 5 | 4 | 5 | 29:21 | 19 |
| თორი | 14 | 5 | 2 | 7 | 12:22 | 17 |
| ჟინერი | 14 | 5 | 2 | 7 | 21:33 | 17 |
| ენერგეტიკოსი | 14 | 5 | 3 | 6 | 19:25 | 13 |
| შევარდენი 2 | 14 | 4 | 1 | 9 | 14:33 | 13 |
| მესხეთი | 14 | 3 | 0 | 11 | 15:40 | 9 |
| ჰერეთი | 15 | 1 | 5 | 9 | 13:23 | 8 |
| დურუჯი | 14 | 1 | 3 | 10 | 8:43 | 6 |
| ავაზა | 14 | 1 | 1 | 12 | 11:31 | 4 |

**დასავლეთი**

იმერეთი — ოლიმპია 6:2, სქური — მამისონი 3:0, (მამისონი არ გამოცხადდა) სამეგრელო — სულორი 3:0, ბათუმი 2 — ეგრისი 2:0, ოდიში 2 — მერცხალი 0:2, კოლხეთი 2 — მეშახტე 0:1, საპოვნელა — კახაბერი 6:3, ტორპედო 2 — სალხინო 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაროელი | 14 | 13 | 0 | 1 | 48:15 | 39 |
| მეშახტე | 14 | 13 | 0 | 1 | 31:8 | 39 |
| მერცხალი | 14 | 11 | 0 | 3 | 41:16 | 33 |
| სალხინო | 14 | 8 | 1 | 5 | 27:20 | 25 |
| იმერეთი | 14 | 7 | 2 | 5 | 29:18 | 23 |
| კოლხეთი 2 | 14 | 7 | 2 | 5 | 23:10 | 23 |
| ოლიმპია | 14 | 7 | 1 | 6 | 24:25 | 22 |
| საპოვნელა | 14 | 5 | 5 | 4 | 24:27 | 20 |
| სამეგრელო | 14 | 5 | 4 | 5 | 24:23 | 19 |
| სულორი | 15 | 5 | 3 | 7 | 15:19 | 18 |
| სქური | 14 | 4 | 4 | 6 | 17:20 | 16 |
| მამისონი | 14 | 4 | 3 | 7 | 25:31 | 15 |
| ბათუმი 2 | 14 | 3 | 2 | 9 | 13:26 | 11 |
| ეგრისი | 14 | 3 | 5 | 6 | 15:24 | 9 |
| ტორპედო 2 | 14 | 2 | 3 | 9 | 12:33 | 9 |
| კახაბერი | 15 | 2 | 2 | 11 | 18:53 | 8 |
| ოდიში 2 | 14 | 1 | 3 | 10 | 6:24 | 6 |

**სასწრაფოდ იყიდება**

ან იცვლება, საბურთალოზე, საუკეთესო ადგილას (ყაზბეგის ქუჩისა და ვაჟა-ფშაველას პროსპექტის დასაწყისში) არასტანდარტული, სამოთახიანი კუთხის ბინა (საცხოვრებელი ფართი — 100 კვ.მ); ჭერის სიმაღლე — 3 მ და 20 სმ, დამთავრებულია ორივე მხარეს კაპიტალური მიშენება (70 კვ. მ), ბინა არის მეოთხე სართულზე (ლიფტით), აქვს სარდაფი, ახალი გამოცვლილია სან-ტექნიკა, კაფელ-მეტლახი, ელექტროგაყვანილობა, კარ-ფანჯრები. ბინას აქვს რკინის კარები, საკაბელო ტელევიზია და ტელეფონი. საწყისი ფასი — 55 000 დოლარი. დაინტერესებულ პირთ, ვთხოვთ დარეკონ 16 საათის შემდეგ: 37-10-83 (იკითხეთ ლია ან გიორგი)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გიორგი ნემსაძე: წაგება მარტოოდენ ჩივაძის ბრალი არ არის

**9 ნოემბრის გახსენება ახლაც უსიამოვნო ემოციებს იწვევს და ეს ყველაზე ითქმის — მოთამაშეებზე, მწვრთნელებზე, ჟურნალისტებსა და გულშემატკივრებზეც. მაგრამ, მოდით, ემოციები გვერდზე გადავდოთ და მარცხის მიზეზების გაანალიზებას შევეცადოთ. გიორგი ნემსაძესთან ჩვენი სატელეფონო ინტერვიუს დიდი ნაწილი სწორედ ინგლისელებთან წაგებულ შეხვედრას ეხებოდა.**

— მარცხს მრავალი მიზეზი აქვს და, შევეცდები, ამ მიზეზებს ახსნა მოვუძებნო. ბუნებრივია, მოგება ყველას ძალიან გვინდოდა და ეს სულაც არ იყო შეუძლებელი. მაგრამ იყო მეორე მომენტიც. ზედმეტმა მონდომებამ და მატჩისწინა მღელვარებამ უარყოფითად იმოქმედა თითოეულ ჩვენგანზე, „გადავიწვით" და ჩვენი შესაძლებლობები ვერ გამოვავლინეთ, მაგრამ, მერწმუნეთ, საქართველოს ისეთი სუსტი ნაკრები არ ჰყავს, როგორც ინგლისთან შეხვედრისას ჩანდა. თანაც, ისე ვერ მოვემზადეთ, როგორც საჭირო იყო. მოგება ჰაერივით გვჭირდებოდა, ამას ყველა ვაცნობიერებდით, მაგრამ, შეიძლება, სულაც ამ ფიქრმა შეგვიკრა ხელ-ფეხი და თავის გამოჩენის საშუალება არ მოგვცა.

**— თამაშის წინ ნაკრების ყველა წევრი ამბობდა, აუცილებლად უნდა მოვიგოთო. იგრძნობოდა, ინგლისელების არ გეშინოდათ. მაგრამ მოედანზე სრულიად საპირისპირო რამ ვიხილეთ. შენი ნათქვამიდან ჩანს, რომ მეტოქის შიში მაინც გქონიათ...**

— ამას შიშს არა, ნერვიულობას დავარქმევდი. ჩვენ მეტოქის სახელი სულაც არ გვაშინებდა, უფრო იმიტომ ვღელავდით, რომ 3 ქულა აუცილებლად უნდა მოგვეპოვებინა, ეს მაყურებელსაც სჭირდებოდა — ერთადერთი სიხარული ხომ ჩვენი გამარჯვება იქნებოდა. ქულებზე მეტად მათი გახარება გვსუროდა. აი, ეს გვაღელვებდა და ძალიან მწყინს, რომ ათასობით ადამიანს იმედები გავუცრუეთ.

გარდა ამისა, მატჩი ჩვენთვის ძალიან ცუდად დაიწყო. პირველმა გოლმა საერთოდ წაგვახდინა და თამაშიც, დიდი მონდომების მიუხედავად, ვერა და ვერ ავაწყვეთ.

**— პირველი გოლის ფაქტორი თითქმის გადაულახავ ზღუდედ იქცა ჩვენთვის. როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს? სხვებსაც გაუშვიათ პირველი გოლი, მაგრამ მოგება მოუხერხებიათ...**

— ეტყობა, რაღაც გვაკლია, და ეს რაღაც, როგორც ჩანს, მაღალ დონეზე თამაშის გამოუცდელობაა. გამარჯვება მხოლოდ სიმშვიდეს მოაქვს, რასაც გამოცდილების გარეშე ვერ შეიძენ.

**— გია, როგორ ფიქრობ, შეიძლებოდა მოგება? ეს კითხვა დღეს სრულიად ლოგიკურად ჟღერს. ამ შეხვედრის ირგვლივ ერთგვარი ეიფორია იყო შექმნილი და რატომღაც ყველა მოგებას ელოდა. თამაშმა კი ჩვენი ნაფიქრი სასაცილოდ აქცია...**

— სურვილი, ცხადია, იყო. ჩემი აზრით, გამარჯვებაც შეიძლებოდა, მაგრამ ერთ ფაქტორს აუცილებლად უნდა გავუწიოთ ანგარიში — ინგლისის ნაკრების ყველა წევრი ძლიერ გუნდში თამაშობს და მშვენიერ პირობებშიც ემზადება. მაგრამ, ვიმეორებ, მოგება მაინც შეიძლებოდა.

**— როგორ?**

— აქტიურობის ხარჯზე. იღბალიც ჩვენს მხარეს უნდა ყოფილიყო. ჩვენ ერთიც გვაკლდა და მეორემაც ზურგი გვაქცია. თანაც, ორივე გოლის გაშვებისას მეტად დასანანი შეცდომები დავუშვით და წავაგებდით, აბა, რა იქნებოდა.

**— აქტიურობა და იღბალი თავისთავად ბევრს ნიშნავს. მაგრამ, ფაქტია, ინგლისელთა ტაქტიკამ უფრო გაამართლა...**

— მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ — ჩივაძემ აირჩია ის ტაქტიკა, რომლითაც მოგება შესაძლებელი იყო! არავითარი ტაქტიკური შეცდომა მას არ დაუშვია. თუ გუნდი მოგებაზე ფიქრობდა, სწორედ იმ სისტემით უნდა ეთამაშა, რომლითაც იმ დღეს გამოვედით, ანუ ჩივაძის 3-5-2-ით. მოგებას ნახევარდაცვის გაძლიერება ესაჭიროება. ამ შემთხვევაში თავდამსხმელი არ უნდა მოგვეხსნა.

მატჩისწინა შეკრებაზე მთელი 6 დღის მანძილზე ჩივაძე მოთამაშეებს გვეთათბირებოდა, როგორი ტაქტიკა შეგვერჩია. მე იმის თქმა მინდა, რომ პასუხისმგებლობა მწვრთნელებმა და მოთამაშეებმა თანაბრად უნდა გვჭვინაწილოთ — ტაქტიკის შემუშავებისას ჩივაძე ხომ მოთამაშეებსაც დაგვეკითხა. სხვა საქმეა, რომ ჩვენ ყველაფერი ისე ვერ განვახორციელეთ, როგორც საჭირო იყო. ისეთი გოლები გავუშვით, ტაქტიკურ შეცდომებს ვერ მიაწერ, ელემენტარულ სიტუაციებში შევცდით. აბა, ეს რა ჩივაძის ბრალია? არ შეიძლება, ყველაფერი მას დავაბრალოთ და განტევების ვაცად ვაქციოთ. ვიმეორებ, ჩვენ ტაქტიკური კი არა, ელემენტარული შეცდომების გამო დავმარცხდით. გარდა ამისა, ინგლისელებმა მოედნის ცენტრში გვაჯობეს, სადაც 5 კაცი ვთამაშობდით! ჩვენს ფუნქციებს თავი ვერ გავართვით და ამის გამო დავისაჯეთ. ყველამ ჩვენი შეცდომები უნდა გავაანალიზოთ და მარტო ერთ კაცს არ უნდა დავდოთ ბრალი.

**— შენი აზრით, ამ წაგების შემდეგ საფრანგეთში მოხვედრა რეალურია?**

— რა თქმა უნდა, ეს ძალზე ძნელია. შანსი მხოლოდ თეორიული დაგვრჩა. ინგლისელებთან წაგების შემდეგ სულ ამაზე ვფიქრობ. თუმცა, ფარ-ხმალს მაინც არ დავყრით და ამ შანსის დაკარგვას მშვიდად არ შევეგუებით. ისე კი, შანსი, თუნდაც თეორიული, რახან არსებობს, უნდა გამოვიყენოთ. თანაც, ინგლისში საპასუხო შეხვედრის წინ ერთგვარი ფსიქოლოგიური უპირატესობა ჩვენს მხარეს იქნება.

**— რატომ, განა ინგლისელებმა არ მოიგეს?**

— შევეცდები აგიხსნათ. ჩვენ ახლა უკვე აუცილებლად გვჭირდება მოგება. ამას წყალი არ გაუვა. რა თქმა უნდა, მოგებაზე არც ინგლისელები იტყვიან უარს. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მეორე შეხვედრის წინ ისინი გაცილებით ნაკლები სერიოზულობით მოგვეკიდებიან და ეს უნდა გამოვიყენოთ. იქნებ ბედმაც გაგვიღიმოს...

**— შენმა ბავშვობის მეგობარმა მიშა ყაველაშვილმა ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა. არა მგონია, ეს ამბავი გაგახარებდეს...**

— თქმა არ უნდა, ვერცერთ ჩვენგანს ვერ წარმოუდგენია ნაკრები მიშას გარეშე. არასასიამოვნო ფაქტია, მაგრამ, იმედი მაქვს, ჩივაძე და ყაველაშვილი საერთო ენას გამონახავენ. სხვაგვარად არ იქნება.

**— ინგლისელებმა მათთვის უჩვეულო ფეხბურთი ითამაშეს. ელოდით ამას?**

— ჩვენ სწორედ ამან დაგვაბნია. ბავშვობიდან შეჩვეულები ვართ, რომ ბრიტანელები მარტივი სქემით თამაშობენ. მაგრამ რა ტაქტიკაც უნდა აერჩიათ, ჩვენ რისთვისღა ვიყავით? თანაც, თითქმის იდეალური შემადგენლობით ვთამაშობდით.

**— გესქოინთან თამაშმა მოგიწია...**

— თავიდან მისი მეურვეობით ვიყავი დაკავებული, მაგრამ გოლის შემდეგ იმისთვის განვეწყვე, რომ ჩემიანებს წინ დავხმარებოდი. მეტი აქტიურობა იყო საჭირო. მაგრამ ინგლისელებმა გაუვალი დაცვა დააყენეს. ფაქტიურად, მხოლოდ 20-25 წუთი ვეთამაშებოდი გესქოინს და ვფიქრობ, ამ ხნის განმავლობაში მას თავი არაფრით გამოუჩენია. შემდეგ კი, მეტი თავისუფლება რომ მივეცით, თავისი ნიჭი და ოსტატობაც გვაჩვენა.

...დღეს ბევრს ლაპარაკობენ ჩივაძის მოხსნაზე. რა ჩემი საქმეა, მაგრამ ეს გაუმართლებლად მიმაჩნია. დავუშვათ, მოხსნეს, მერე რა იქნება? ახალი მწვრთნელი წარუმატებლობის შემთხვევაში ყველაფერს ჩივაძეს გადააბრალებს — იმან ცუდად დაიწყო და მე რა პასუხს მთხოვთო. მოკლედ, ვინც უნდა იყოს, პასუხისმგებლობას თავის თავზე არ აიღებს. სჯობს, ისევ ჩივაძეს მისცენ საშუალება, თავად გამოასწოროს თავისი შეცდომები. დამიჯერეთ, სხვა მასზე უკეთესად ამას ვერ მოახერხებს. გახსოვთ, როგორ აკრიტიკებდნენ ფოგტსს? მის განთავისუფლებას ითხოვდნენ, მაგრამ აცალეს მუშაობა და მანაც გუნდი ევროპის ჩემპიონი გახადა. შეცდომები რომ დავუშვით, აშკარაა და ამას ყველა ვგრძნობთ, მაგრამ რამე ხომ უნდა ვილონოთ მათ გამოსასწორებლად?!

...ბოლოს გიას „ტრაბზონის" ამბები გამოვკითხე. უფრო სწორად — ჩვენებურების ამბები „ტრაბზონში".

— შოთას ფეხი აწუხებს. ბოლო ტურში „დარდანელს" ვხვდებოდით სტუმრად და ქართველებიდან მარტო მე ვითამაშე. არჩილიც არ იყო — კოჭი ამოუბრუნდა და ცოტა ხნით წამკურნალება დასჭირდება. ის შეხვედრა 2:0 მოვიგეთ და თურქეთის ჩემპიონატში პირველი გოლიც გავიტანე. ამ მოგებით ლიდერთან — „ფენერბაჰჩესთან" სხვაობა 3 ქულამდე შევამცირეთ — ამათ თანაქალაქელ „ისტანბულსფორთან" ფრედ ითამაშეს. ამ ტურში ჩვენს გარდა ყველა ლიდერი ფრეს დასჯერდა და „ტრაბზონს" ლიდერობის დაბრუნების რეალური შანსი გაუჩნდა.

**მერაბ მამულაშვილი**
**ტრაბზონი — თბილისი**

**ბადრი კეთილაძის ფოტო**



**9.XI.1996 თბილისი. საქართველო — ინგლისი 0:2.**
**გიორგი ნემსაძე პოლ გესქოინის შეჩერებას ცდილობს.**

# ოღონდ ნუ გავჩუმდებით

ქართველთა მორიგი, უსახელო მარცხის შემდეგ, ვინ იცის, მერამდენედ დავეკითხე თავს, მეთქვა თუ არა ის, რასაც ერთი რიგითი გულშემატკივარი, ფეხბურთზე შეყვარებული კაცი ფიქრობს საქართველოში სპორტის ამ სახეობის დღევანდელ მდგომარეობაზე.

ვფიქრობ, სპეციალისტები კი არა, უბრალო გულშემტკივრებიც ხვდებიან, რომ ჩვენები, კლუბებიც და ნაკრებებიც, ძალიან ჩამორჩებიან თანამედროვე ფეხბურთის დონეს.

70-იანი წლების ევროპაში ახალი ყაიდის ფეხბურთი იშვა — ტოტალური. იგი არ ხასიათდებოდა მარტო მთელი გუნდით დაცვაში ან მთელი გუნდით შეტევაში მონაწილეობით. ფეხბურთი უფრო ინტენსიური გახდა. მოთამაშეები უპირატესობას ქმნიდნენ არა მარტო რაოდენობის, არამედ ინტენსიური და ...ქტური, გააზრებული მოძრაობის, გახსნის ხარჯზე. განსაკუთრებულ წარმატებას ის გუნდები აღწევდნენ, რომელნიც ამას გონივრულად აკეთებდნენ. ცხადია, საგრძნობლად გაუმჯობესებული ფიზიკური კონდიციების ხარჯზე.

ტოტალური ფეხბურთი თითქმის ათი წელი მეფობდა, მაგრამ, როგორც ნიჭის სრულყოფას არა აქვს საზღვარი, ფეხბურთიც მუდმივად ვითარდება. მთელი გუნდით დაცვას და მთელი გუნდით შეტევას გარკვეული დანაკლისები ახლდა და ნოვატორმა მწვრთნელებმა ამას ყურადღება მიაქციეს.

სტაჟიან გულშემატკივრებს ალბათ ემახსოვრებათ 70-იანი წლების მიწურულისა და 80-იანების დამდეგის მინსკის „დინამო". ეს გუნდი სტუმრად მეტ წარმატებას აღწევდა, ვიდრე შინ თამაშისას. ამ უცნაურობის ახსნა არც ისე რთული საქმე იყო — მინსკელთა სწრაფ კონტრშეტევებს მოულოდნელი სვლები ... მეტ...ქის დაცვა არცთუ იშვიათად ...ელი ხვდებოდა და უძლური იყო ამ ფანდის წინაშე. მაგრამ მინსკელთა კონტრშეტევები სხვა მნიშვნელოვანი მომენტითაც განსხვავდებოდა მანამდელი, ფაქტობრივად, სტიქიური, იშვიათი კონტრშეტევებისგან: გუნდი კონტრშეტევას ანხორციელებდა არა ერთი ან ორი ფეხბურთელით, არამედ ფეხბურთელთა ჯგუფით. კონტრშეტევას ჰქონდა კოლექტიური, გუნდური ხასიათი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩეოდა 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის იტალიის ნაკრები. ტოტალური, ერთგვარად გაჭიანურებული შეტევები შეიცვალა ელვისებური, ზამბარისებური, უსწრაფესი შეტევებით. განსაკუთრებული ეფექტი ჰქონდა პირველ შეტევას ანუ კონტრშეტევას. ერთი-ორი პასით და სწრაფი ღრმა რეიდებით იტალიელები მოულოდნელად აღწევდნენ მეტოქის საჯარიმოს და ადვილადაც ახერხებდნენ თავისუფალ, ხელსაყრელ პოზიციაზე მოთამაშის გაყვანას.

დღევანდელ ფეხბურთში ამოივსო ის ვაკუუმი, რასაც კონტრშეტევით გამოწვეული მოულოდნელობა ჰქვია. დღეს საკმარისი აღარ არის მეტოქის ნახევარზე ბურთის სწრაფი გადატანა ან მეტოქის საჯარიმოსთან მისი რაც შეიძლება სწრაფად მიტანა. დღეს წარმატებას ის გუნდები აღწევენ, ვინც უკეთ ფლობს საფეხბურთო აზროვნებას, აქვს მოძრაობისა და პასის მაღალი კულტურა და ამ ყოველივეს უცილობლად სწრაფად ასრულებს. დროული გახსნა, ერთი შეხებით პასი მოძრავ ფეხბურთელს მოძრავი ფეხბურთელისგან, შეტევაში მონაწილე ფეხბურთელისგან, მუდმივი ძიება ხელსაყრელი, ეფექტური, კარში დასარტყმელი პოზიციისა — ასე თამაშობენ დღევანდელი საფეხბურთო გრანდები. მთავარი და განმსაზღვრელი იმპროვიზაცია, საფეხბურთო აზროვნებაა, ფეხბურთელის ძიებისთვის მომართვაა. ფეხბურთელები იშვიათადღა მოქმედებენ სქემატურად, დოგმის ფარგლებში.

ეს ყოველივე აშკარად აკლია დღევანდელ ქართულ ფეხბურთს. განსაკუთრებით იგრძნობა ჩამორჩენა ფიზიკურ მომზადებაში, თუმც ბოლო ხანს გარკვეული წინსვლაც შეიმჩნევა ამ მიმართულებით. ევროტურნირების მონაწილე ქართული გუნდების გამოსვლამ დაადასტურა, რა შორს დგანან ჩვენები დატვირთვათა თანამედროვე დონისგან, ის გუნდებიც კი რომელთაც შედარებით მყარი მატერიალური მდგომარეობა აქვთ, იქ კი, სადაც მოთამაშეთა გამოკვებაც კი უჭირთ ან სულაც ვერ ახერხებენ, საერთოდ ფეხბურთზე ლაპარაკიც ზედმეტია.

უფრო რთულადა გვაქვს საქმე ტაქტიკური მომზადების, საფეხბურთო აზროვნებისა და თამაშის ორგანიზაციის მხრივ. მეპატიოს ასეთი კატეგორიულობა, მაგრამ, ჩემი აზრით, ქართული სამწვრთნელო სკოლა მოვლენებს ჩამორჩა. ხშირად მწვრთნელები ერთმანეთისგან ვერ არჩევენ სათამაშო ტაქტიკას და მოთამაშეთა განლაგების ტაქტიკურ სქემას. არადა, აღარ სჭირდება დიდი მეცნიერება იმას, რომ ფეხბურთელი უნდა გადაადგილდეს ხელსაყრელი პოზიციისკენ, იყოს მუდმივად ამის ძიებაში და დროზე გადააწოდოს პასი.

დღევანდელი ფეხბურთის სილამაზე და ძალა მის მრავალფეროვნებაშია. ფეხბურთს ჩაღრმავებული, ინტელექტუალური მიდგომა სჭირდება, მწვრთნელი გამუდმებულ კვლევა-ძიებაში უნდა იყოს. ნურც აზრის სიმცდარე შეგვაშინებს და დაგვაფრთხობს. სადისკუსიო და საკამათოც არაერთია, მსჯელობა და ობიექტური კრიტიკა, თუნდაც მწარე, ჩვენი ფეხბურთის სწორი გზით სიარულის გარანტიაა. ოღონდ ნუ გავჩუმდებით. — დუმილი და შეგუება დამარცხების ტოლფასია.

**თედორე ბაბიკაშვილი**

## ინგლისი

### ევერტონი 7:1 საუთჰემპტონი

**ევერტონი:** საუთჰოლი (ჯერარდი 45), ბარეტი, ჰინჩკლიფი, ანსუორსი, უოტსონი, სტიუარტი, სპიდი, ბარმბი, კანჩელსკისი, პარკინსონი, გრანტი
**საუთჰემპტონი:** ბუდხი, დოდი, ლუნდეკვამი, ვან გობელი, მონკოუ, ხლეიტერი, მეჯილტონი, ოსტენსტადი, ჩარლტონი (შენი 8; ნილსონი 45), ლე ტისიე (უოტსონი 56), ბერკოვიჩი
**გოლი:** სტიუარტი (12), კანჩელსკისი (22, 35) სპიდი (30, 32, 72) ბარმბი (57); ოსტენსტადი (39)

ამ დღეს „ევერტონს" 25 წლის წინანდელი რეკორდის გამეორების დიდი შანსი ჰქონდა. მაშინ ამ გუნდმა, ამავე სტადიონზე 8:0 დაამარცხა „საუთჰემპტონი". აღსანიშნავია, რომ „ევერტონის" ახლანდელი მწვრთნელი ჯო როილი მაშინ კლუბში ირიცხებოდა და იმ გატანილი 8 ბურთიდან 4 სწორედ მან შეაგდო. 22 წუთში გაშვებულმა ხუთმა ბურთმა გატეხა გუნდი, რომელმაც სამი კვირის წინ გამანადგურებელი მარცხი აგემა „მანჩესტერ იუნაიტედს". შეხვედრა წუთიერი დუმილით დაიწყო — პატივი მიაგეს „ევერტონისა" და ინგლისის ნაკრების სახელოვან ფორვარდს ტომი ლაუტონს. მე-12 წუთიდან მოყოლებული კი გოლები ერთიმეორის მიყოლებით გადიოდა სტუმართა კარში.

### ასტონ ვილა 1:3 ლესტერი

**ასტონ ვილა:** ოუქზი, ნელსონი (დრაპერი 57), რაიტი, საუთგეიტი, ტილერი, ეჰიოგუ, თაუნსენდი, ტეილორი, ჩურჩიჩი (იოაჰიმი 60), იორკი, ჯონსონი
**ლესტერი:** ჭულერი, გრეისონი, უიტლოუ, უოტსი, უოლში, იზეტი, ლენონი, პრაიორი, კლერიჯი, პარკერი, ჰესკი
**გოლი:** უორკი (15); კლერიჯი (8), პარკერი (43 პ), იზეტი 85)
**გაფრთხილება:** თაუსენდი, ჰესკი

### დერბი 2:1 მიდლსბრო

**დერბი:** ჰაულტი, ლაურსენი, პაუელი, იატსი, როუეტი, მაკგარტი, ფლინი, დეილი (კერსლი 79), ასანოვიჩი (სიმპსონი 84), სტარიჯი (უილესმი 79), უარდი
**მიდლსბრო:** უოლში, კოქსი, უაიტი, ვიკერსი, მასტო, ბექი, ჟუნინიო, რავანელი, მური (სამერბელი 76), ფლემინგი, ჰინეტი
**გოლი:** ასანოვიჩი (15), ვიკერსი (47ს.კ.), რავანელი (73)
**გაფრთხილება:** ასანოვიჩი, ჟუნინიო, მური, სამერბელი

ასანოვიჩის გოლი პირველ ნახევარში ერთადერთი გამოდგა. პარტნიორებმა მას ბრწყინვალე მომენტი შეუქმნეს და ფორვარდმაც ივარგა. მეორე ტაიმში გაავდრებამ თამაში სანახაობრივად ერთგვარად გაალარიბა. მასპინძლებმა პირველ ტაიმში შეძლეს ჟუნინიო — რავანელის დუეტის „გათიშვა", ამან შედეგიც გამოიღო და სტუმართა სახიფათო შეტევებმა იკლო. მეორე ტაიმის დაწყებიდან სამ წუთში კოქსი უხეშად ეთამაშა ასანოვიჩს და არბიტრმა დარკინმა დანიშნა საჯარიმო, რომლის შესრულება დაზარალებულმავე ითავა. მის მიერ უოლშის კარისკენ გაგზავნილ ბურთს ვიკერსმა უნებლიედ მიმართულება შეუცვალა და საკუთარ კარში გაიტანა. მატჩის დამთავრებამდე 25 წუთით ადრე „მიდლსბრომ" ნამდვილი შტურმი წამოიწყო, მაგრამ რავანელის ერთადერთ გოლს დასჯერდა.

### ბლექბერნი 1:1 ჩელსი

**ბლექბერნი:** ფლაუერსი, კენა, შერვუდი, ჰენდრი, გალაჰერი, ვლკოქსი, სატონი, მაკკინლი, ბერგი, ფლიტკროფტი, კროფტი
**ჩელსი:** გროდასი, პეტრესკუ, კლარკი, ვიალი, ჰიუზი, უაისი (გულიტი 61), დაბერი, ბარლი, დი მატეო, მინტო, ძოლა
**გოლი:** გალაჰერი (56), პეტრესკუ (82)
**გაფრთხილება:** ჰენდრი, მაკკინლი, გროდასი, ჰიუზი

ამ მატჩს დიდი ინტერესით ელოდნენ: პრემიერლიგაში „პარმადან" გადმოსული ძოლას დებიუტი უნდა შემდგარიყო. შეხვედრას აკი საკმაოდ ბევრი იტალიელი ჟურნალისტიც დაესწრო. გულიტის სურვილი, ენახა ძოლა პრემიერლიგის მატჩში იმდენად დიდი იყო, რომ მან საკუთარი თავიც არ დააყენა ძირითად შემადგენლობაში და ადგილი ახალწვეულ ლეგიონერს დაუთმო. „ბლექბერნის" გულშემატკივრები" იმედს ალევსო, აშკარა იყო, ფიქრობდნენ, თუ ჩვენმა რჩეულებმა „ლივერპული" 3:0 დაამარცხეს, „ჩელსის" რატომ ვერ უნდა მოუგონო? სტუმრებს ლონდონიდან 2 500 ქომაგი ჩამოჰყვა. თამაშის პირველმა ნახევარმა დამხვდურ გულშემატკივრებს იმედი გაუცრუა: „ჩელსის" დაცვა ორგანიზებულად მოქმედებდა, მასპინძელთა შეტევებს კი სწრაფი და სახიფათო კონტრშეტევებით პასუხობდა. შესანიშნავად და, რაც მთავარია, ზუსტად ირჯებოდა „ჩელსის" ნორვეგიელი მეკარე ფროუდ გროდასი, რომლისთვისაც ეს მატჩი, ძოლას დარად, პირველი იყო პრემიერლიგაში. „ჩელსის" პირველ ნახევარშივე შეეძლო დაწინაურება, მაგრამ ვიალიმ კარგი მდგომარეობიდან ვერ იხეირა. ერთხელაც შესანიშნავად დაარტყა ძოლამ, თუმც ფლაუერსმა ლამაზი ნახტომით მოიგერია ბურთი. მეორე ნახევარში „ჩელსი" უფრო ძლიერად ათამაშდა. ნახევარმცველი ბარლი ჩინებული პასებით ამარაგებდა ძოლას, რომელიც ერთიმეორის მიყოლებით ქმნიდა სახიფათო მომენტებს ფლაუერსის კართან. და მაინც ამ მატჩს გამარჯვებული არ ჰყავდა. მეტოქეებმა გოლები გაცვალეს.

### უიმბლდონი 2:2 ქოვენთრი

**უიმბლდონი:** სალივანი, კანინგემი, კიმბელი, ჯოუნზი, ბლექველი, ლეონარდსენი, ერლი, ეკოკუ (ჰოლდსუორსი 85), გეილი, პერი, არდლი (ფეარი 73)
**ქოვენთრი:** ოგრიზოვიჩი, შოუ, ბაროუსი, უილიამსი, დეიში, უესი, ვილანი, დაბლინი, მაკალისტერი, სალაკო, ნდლოვუ
**გოლი:** ერლი (45), გეილი (54); ვილანა (56), დაბლინი (70)
**გაფრთხილება:** ბლექველი, ფეარი

ამ შეხვედრის შემდეგ მასპინძელთა დაუმარცხებელი მატჩების სერია 14-მდე გაიზარდა, სტუმართათვის კი ეს ზედიზედ მეექვსე ფრე იყო. გოლი ოთხი კი გავიდა, მაგრამ მატჩი საკმაოდ უინტერესოდ წარიმართა.

### ტოტენჰემი 2:0 სანდერლენდი

**ტოტენჰემი:** უოქერი, ჰოუელსი, კალდერვუდი, ნილსენი, შერინგემი, არმსტრონგი, უილსონი, კემპბელი, კარი, ანდერტონი (როზენტალი 89), სინტონი
**სანდერლენდი:** პერე, სკოტი, ბრაისველი, ბოლი, მელვილი, გრეი (სმიტი 83), სტიუარტი, ჰოლი (რეი 76), კელი, ბრიჯისი
**გოლი:** სინტონი (13), შერინგემი (82)
**გაფრთხილება:** სინტონი, არმსტრონგი, კარი, ჰოლი, ბრიჯისი, სკოტი
**გაძევება:** სტიუარტი (57)

სტუმართა ექს-ტოტენჰემელი ფორვარდი პოლ სტიუარტი წლევანდელ სეზონში მეორედ გააძევეს მოედნიდან. მასპინძლებმა კი ბოლო ექვს თამაშში მეხუთედ გაიმარჯვეს. საკმაოდ დაძაბულ მატჩს უხეშობაც საკმაო ახლდა, მსაჯმა მაიკ რიდმა ექვსჯერ ააფრიალა ყვითელი ბარათი. სტუმართაგან ერთადერთი, რომელმაც ნორმალურად ითამაშა, კარის ფრანგი დარაჯი ლიონელი პერე იყო. სწორედ იგია „დამნაშავე", ლონდონელებმა უფრო დიდი ანგარიშით რომ ვერ მოიგეს. პირველ ნახევარში მან ზედიზედ მოიგერია კემპბელის, ანდერტონის და არმსტრონგის ძლიერი დარტყმები, თუმცა მე-13 წუთზე ვერაფერი გააწყო ენდი სინტონთან: ფორვარდმა ჯერ ჰოლი მოატყუა, მერე კელი, და ბოლოს სამი წლის სანძილზე პირველი გოლი გაიტანა პრემიერლიგაში. მეორე ნახევარში გააქტიურდა ანდერტონი, რომელიც უკანასკნელი 7 კვირის მანძილზე პირველი შეხვედრას ატარებდა პრემიერლიგაში. მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე შერინგემმა ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი, კარს ააცილა, თუმცა, ეტყობა, იმ დღეს შერინგემს უგოლოდ მინდვრის დატოვება არ სურდა და 82-ე წუთზე უფრო დააწინაურა თანაგუნდელები.

### ნიუკასლი 1:1 ვესტ ჰემი

**ნიუკასლი:** სრნიჩეკი, ელიოტი (ბერესფორდი 80), ალბერი, პიკოკი, ბათი, ლი, გილესპი (უოტსონი 76), ჟინოლა, ბერდსლი, ასპრილია, ფერდინანდი (კლარკი 44)
**ვესტ ჰემი:** მიკლოშკო, ბრეიკერი, დიქსი, პოტსი, ბილიჩი, როულენდი, ბიშოპი, მონკური, რადუჩოუ (ფუტრე 64), დოუი, ჰიუზი
**გოლი:** ბერდსლი (83); როულენდი (23)
**გაფრთხილება:** როულენდი, მონკური, ბილიჩი, დიქსი

პიტერ ბერდსლიმ პრემიერლიგაში მე-200 გოლი გაიტანა და ამ ბურთით „ნიუკასლი" შინ დამარცხებას გადაარჩინა. ლონდონელებს ხუთი წამყვანი ფეხბურთელი კი აკლდათ, მაგრამ მაინც შეძლეს პრემიერლიგის ლიდერის წინააღმდეგ ძლიერად თამაში, განსაკუთრებით დაცვაში, და შეიძლება ითქვას, მასპინძლებს ორი დაუგეგმავი ქულა აართვეს. სტუმართა შორის ითამაშა რუმინელმა ფორვარდმა ფლორინ რადუჩოუმ, რომელმაც ტრავმის გამო ჩემპიონატის ორი მატჩი გამოტოვა. შეხვედრა ნიუკასლელთა შეტევებით დაიწყო, თუმცა დაახლოებით მე-15 წუთისთვის თამაში გათანაბრდა. მე-20 წუთისთვის მიკლოშკომ ლეს ფერდინანდის სახიფათო დარტყმა მოიგერია. ნიუკასლელთა ერთ-ერთი შეტევისას მათ ბურთი დაჰკარგეს, „ვესტ ჰემმა" მშვენიერი კონტრშეტევა განახორციელა და როულენდმა ანგარიში გახსნა.

შეხვედრა მთავრდებოდა, „ნიუკასლის" მოთამაშეებს თითქოს გადაეწურათ გოლის გატანის ყველა იმედი, თუმცა მათში აღმოჩნდა ერთი კაცი, რომელიც თანაგუნდელებს „არ დაეთანხმა": ფინალურ სასტვენამდე 6 წუთით ადრე ბერდსლიმ დროული გადაცემა მიიღო ალბერისგან, ცრუმოძრაობით ორი მეტოქე ჩამოიშორა და ცაციით გაიტანა მითვის საიუბილეო, მე-200, გულშემატკივართათვის კი ასე ნანატრი გოლი.

### მანჩესტერი 1:0 არსენალი

**იუნაიტედი:** შმაიხელი, გ. ნევილი, მეი, კანტონა, ბუთი, ბექემი, გიგზი, ფ. ნევილი, პობორსკი, იონსენი, სოლსკიაერი
**არსენალი:** სიმენი, დიქსონი, ვინტერბერნი, ვიეირა, ბოულდი, ადამსი, პლატი, რაიტი, მერსონი, ბერგკამპი, კიოუნი
**გოლი:** ვინტერბერნი (63 ს.კ.)
**გაფრთხილება:** იონსენი, დიქსონი, ვიეირა, რაიტი, პლატი, ბოულდი

მასპინძლება, როგორც იქნა, შეწყვიტეს დამარცხებათა სერია და ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვეს. „არსენალი" კი პირველად დამარცხდა ახალი მწვრთნელის არსენ ვენგერის ხელში. პირველ ტაიმში ორივე გუნდი მედგრად იბრძოდა. შესანიშნავად თამაშობდა ალბიონელთა ეროვნული გუნდის მეკარე დეივიდ სიმენი. მან, ისევე, როგორც მთელმა „არსენალმა", მანჩესტერელთა ქომაგების ოვაციები დაიმსახურა, თუმცა მეორე ნახევრის შუაში, ეტყობა, ოვაციებმა აწყინა და სრულიად უწყინარ სიტუაციაში დასანანი გოლი გაუშვა. მანამდე კი... პირველ ნახევარში მანჩესტერელთა გუნდის ლიდერი რაიან გიგზი იყო. კომბინაციური თამაშით და მახვილგონივრული პასებით მან აშკარად დაჩრდილა ფრანგი კანტონა და ევროპის ვიცე-ჩემპიონი პობორსკი. სწორედ გიგზმა შეუქმნა კანტონას ორი ბრწყინვალე მომენტი, რომელიც ფრანგმა ვერ გამოიყენა. შესანიშნავად თამაშობდა პიტერ შმაიხელიც. მას შემდეგ, რაც უკანასკნელ 3 ტურში 13 ბურთი გაუშვა, ეტყობა, მობეზრდა კარიდან ბურთის გამოტანა და აკი იმ დღეს არც გამოუტანია. 63-ე წუთზე კი დადგა შეხვედრის კულმინაციური მომენტი: სრულიად უწყინარ სიტუაციაში ბუთმა საკმაოდ ძლიერად გადააწოდა ვინტერბერნს, მან კი, თავის მხრივ, სიმენს დაუგორა, რომელიც მცველისგან პასს არ ელოდა და დაიბნა, ამ დაკარგულ წამებში კი ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა. 55 000 მაყურებელი მოვლენების ასეთ განვითარებას არ ელოდა და ამ გოლს ისინი დუმილით შეხვდნენ, რამდენიმე წამში კი იქაურობა ყვირილით გააყრუეს.

### ლიდსი 0:2 ლივერპული

**ლიდსი:** მარტინი, კელი, პალმერი, ბისლი, რადებე, რაში, ფორდი, დაუერი, შარპი, უოლესი (ჯეკსონი 13), დინი
**ლივერპული:** ჯეიმსი, რაიტი, რადოკი, მატეო, მაკატირი, ტომასი, რედნეპი, ბარნსი, მაკმანამანი, ბიორნებიუ, ფაულერი
**გოლი:** რადოკი (13), მაკმანამანი (30)
**გაფრთხილება:** რაში, რადებე, რაიტი

„ლივერპულს" ქომაგთა თვალში რეაბილიტაცია და იმის დამტკიცებაც სჭირდებოდა, რომ ბლექბერნში წინა ტურში განცდილი მარცხი შემთხვევითობა იყო. ამასთან, ამ გამარჯვებით მათ ძალზე საჭირო სამი ქულა შემატეს. „ლივერპულმა" მისთვის ჩვეულ სტილში ითამაშა და მეტოქეს ერთხელაც არ მისცა შანსი, გამარჯვებაზე ეფიქრა. მასპინძელთაგან გამოირჩეოდა ყოფილი ლივერპულელი იან რაში, რომელიც ბევრს ეცადა ექს-თანაკლუბელების კარში გოლის გატანას. სტუმრებს არ ჰყავდათ პატრიკ ბერგერი, სტენ კოლიმორი და ფილ ბები, მაგრამ მათი შეტევის ხაზი მაინც სახიფათო იყო. პირველი გოლი „დანავსულ" მე-13 წუთზე გავიდა: ფაულერმა მაღალი ბურთი ჩაჰკიდა საჯარიმოში, პალმერმა უხეიროდ მოიგერია, ბურთი ეულად მყოფ რადოკს მოუვიდა. მან კი ძლიერი დარტყმით რამდენიმე მცველს შუა გაატარა და ანგარიში გახსნა. მეორე ნახევარში „ლივერპულმა" დაახლოებით 10-15 წუთი მასპინძლები კარს მიაჯაჭვა. ამ დროის განმავლობაში მარტინი ზედიზედ იგერიებდა მაკმანამანის, ბიორნებიუს, ბარნსის და სხვა „წითლების" ყუმბარისებურ დარტყმებს. შეხვედრის ბოლო წუთზე მარტინის მიერ მეორე ნახევარში დაშვებული ერთადერთი შეცდომა საბედისწერო გამოდგა ლიდსელებისთვის და იგი მათ მეორე გაშვებულ გოლად დაუჯდათ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 13 | 9 | 1 | 3 | 24:14 | 28 |
| ლივერპული | 12 | 8 | 2 | 2 | 22:11 | 26 |
| არსენალი | 13 | 7 | 4 | 2 | 24:11 | 25 |
| უიმბლდონი | 13 | 7 | 3 | 3 | 24:15 | 24 |
| ჩელსი | 13 | 6 | 5 | 2 | 22:18 | 23 |
| მანჩესტერი | 13 | 6 | 4 | 3 | 24:19 | 22 |
| ტოტენჰემი | 13 | 6 | 2 | 5 | 14:11 | 20 |
| ევერტონი | 12 | 5 | 4 | 3 | 19:13 | 19 |
| ასტონ ვილა | 13 | 5 | 3 | 5 | 16:14 | 18 |
| დერბი | 13 | 4 | 5 | 4 | 14:15 | 17 |
| ლესტერი | 13 | 5 | 2 | 6 | 12:16 | 17 |
| შეფილდი | 12 | 4 | 4 | 4 | 13:17 | 16 |
| ვესტ ჰემი | 13 | 4 | 3 | 6 | 12:17 | 15 |
| საჰემპტონი | 13 | 3 | 4 | 6 | 22:24 | 13 |
| მიდლსბრო | 13 | 3 | 4 | 6 | 18:23 | 13 |
| სანდერლენდი | 13 | 3 | 4 | 6 | 9:16 | 13 |
| ლიდსი | 13 | 4 | 1 | 8 | 11:20 | 13 |
| ქოვენთრი | 13 | 1 | 7 | 5 | 7:17 | 10 |
| ბლექბერნი | 13 | 1 | 5 | 7 | 11:17 | 8 |
| ნოტინგემი | 12 | 1 | 5 | 6 | 10:20 | 8 |

## პირველი დივიზიონი

### პორტსმუთი 2:1 სიტი

**სიტი:** მარგეტსონი, მაკგოლდრიკი (დიკოვი 56), ბრაისველი, ლომასი, საიმონსი, უასალი, სამერსი, კლაფი (ყაველაშვილი 56), როჯერი, ქინქლაძე, როსლერი (უიტლი 75)
**გოლი:** ბრედბერი (24), სიმპსონი (40); როჯერი (16)
**გაფრთხილება:** პეჩიკი, საიმონსი, როჯერი, დიკოვი, როსლერი
**გაძევება:** აუფვორდი (76)

ამ მარცხის შემდეგ „სიტი" პირველი დივიზიონის ბოლო 4 გუნდს შორის აღმოჩნდა. არანაირი იმედი აღარ არის, რომ კლუბი პრემიერლიგაში გადავა. ერთადერთი მაღალი კლასის ფეხბურთელიც კი ვერ იხსნის „სიტის" ლიგიდან შესაძლო გავარდნისგან. ანგარიში მე-16 წუთზე როჯერმა გახსნა გიოს პასით. სტუმრებს ბევრჯერ შეეძლოთ ანგარიშის შეცვლა, მაგრამ გერმანელი ფორვარდი უვე როსლერი ზედიზედ აფუჭებდა ქართველი ფეხბურთელის მიერ შექმნილ მომენტებს. ქინქის შეჩერება „პორტსმუთის" მწვრთნელმა მისთვის მეურვის მიჩენით დააპირა. გუნდის კაპიტანმა აუფვორდმა ქინქის დევნაში ბევრი ოფლი ღვარა, არც უხეშობას ერიდებოდა და ერთ-ერთი უხეშობის შემდეგ, 76-ე წუთზე მსაჯმა იგი მოედნიდან გააძევა. გიორგი არც ამის შემდეგ გაჩერებულა — კვლავ და კვლავ იწყებდა შეტევებს, მაგრამ თანაგუნდელები მხარს ვერ უბამდნენ და მარტოს აბა რა შეეძლო. მატჩის მეორე ნახევარში შეცვლაზე შესული ყაველაშვილი მცველებმა უმეთვალყუროდ არ დატოვეს და თავის გამოვლენის საშუალება არ მისცეს. მატჩის შემდეგ „სიტის" რიგით მე-5 მწვრთნელმა ფილ ნილმა, რომელიც 10 კვირაა, რაც გუნდში მუშაობს, განაცხადა: „ჩემი საქმეა ფეხბურთელებთან მუშაობა და არა მათი სწავლება." შესაძლოა, ამ სიტყვებით ნილმა გუნდიდან წასვლის განზრახვა გაამხილა.

**მე-19 ტურის დანარჩენი მატჩები.** ბოლტონი — კრისტალ პალასი 2:2, ვულვერჰემპტონი — ბირმინგემი 1:2, ბრედფორდი — იფსვიჩი 2:1, გრიმსბი — სტოკი 1:1, ნორვიჩი — რედინგი 1:1, ოქსფორდი — ჰადერსფილდი 1:0, პორტ ვეილი — შეფილდი 0:0, ქუინზ პარკი — ჩარლტონი 1:2, საუთენდი — ვესტბრომვიჩი 2:3, სვინდონი — ბარნსლი3:0, ტრანმერი — ოლდემი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 16 | 11 | 4 | 1 | 37:20 | 37 |
| ნორვიჩი | 16 | 9 | 4 | 3 | 25:14 | 31 |
| კრ.პალასი | 16 | 8 | 6 | 2 | 36:13 | 30 |
| ბარნსლი | 15 | 7 | 6 | 2 | 27:18 | 27 |
| ვულვზი | 17 | 7 | 5 | 5 | 22:17 | 26 |
| შეფილდი | 14 | 7 | 4 | 3 | 29:16 | 25 |
| ტრანმერი | 17 | 7 | 4 | 6 | 25:20 | 25 |
| სვინდონი | 16 | 7 | 2 | 7 | 24:19 | 23 |
| სტოკ სიტი | 15 | 6 | 5 | 4 | 22:26 | 23 |
| ოქსფორდი | 16 | 6 | 4 | 6 | 20:13 | 22 |
| ქუინზ პარკი | 17 | 5 | 7 | 5 | 20:21 | 22 |
| პორტ ვეილი | 17 | 5 | 7 | 5 | 16:19 | 22 |
| პორტსმუთი | 17 | 5 | 4 | 8 | 20:24 | 19 |
| ვესტ ბრომვიჩი | 15 | 4 | 7 | 4 | 18:22 | 19 |
| ჰადერსფილდი | 15 | 5 | 4 | 6 | 17:21 | 19 |
| სიტი | 15 | 6 | 1 | 8 | 16:21 | 19 |
| საუთენდი | 17 | 4 | 7 | 6 | 17:27 | 19 |
| იფსვიჩი | 16 | 4 | 6 | 6 | 20:23 | 18 |
| რიდინგი | 16 | 5 | 3 | 8 | 19:27 | 18 |
| ბირმინგემი | 14 | 4 | 5 | 5 | 15:17 | 17 |
| ჩარლტონი | 14 | 5 | 2 | 7 | 14:21 | 17 |
| ოლდემი | 17 | 3 | 5 | 9 | 19:23 | 14 |
| გრიმსბი | 17 | 3 | 4 | 10 | 18:36 | 13 |
| ბრედფორდი | 17 | 3 | 4 | 10 | 11:29 | 13 |

## გერმანია

მიონხენგლადბახი — ზანქტ პაული 0:0, კიოლნი — ვერდერი 4:1 (ჰენდერხენი 27, პოლსტერი 64, 77, მუნტეანუ 83; ბოდე 89), დორტმუნდი — კარლსრუე 1:1 (რაიხენბერგერი 45; დუნდი 35), ჰამბურგი — ლევერკუზენი 0:2 (კირსტენი 52, 82), შტუტგარტი — ბოხუმი 3:1 (ელბერი 15, ჰაგნერი 24, პოშნერი 30; კოეზლე 20), ფრაიბურგი — ბაიერნი 0:0, მიუნხენი — არმინია 1:3 (შელდტი 26; მოალტა 40, კუნცი 55, რაინა 90), ფორტუნა — შალკე 1:3 (ვერნერი 32 პ; ვილმოტსი 5, დული 43, მაქსი 81), ჰანზა — დუისბურგი 0:1 (სალოუ 82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტუტგარტი | 14 | 9 | 3 | 2 | 37:13 | 30 |
| ლევერკუზენი | 14 | 9 | 3 | 2 | 31:15 | 30 |
| ბაიერნი | 14 | 8 | 5 | 1 | 23:12 | 29 |
| დორტმუნდი | 14 | 8 | 3 | 3 | 28:16 | 27 |
| კიოლნი | 14 | 8 | 1 | 5 | 27:21 | 25 |
| ბოხუმი | 14 | 6 | 5 | 3 | 19:19 | 23 |
| ვერდერი | 14 | 6 | 3 | [illegible] | 27:19 | 21 |
| კარლსრუე | 14 | 6 | 3 | 5 | 24:19 | 21 |
| მიუნხენი | 14 | 4 | 4 | 6 | 22:25 | 16 |
| შალკე 04 | 14 | 4 | 4 | 6 | 16:23 | 16 |
| ჰამბურგი | 14 | 4 | 3 | 7 | 17:22 | 15 |
| მ.გლადბახი | 14 | 4 | 3 | 7 | 12:19 | 15 |
| ზტ.პაული | 14 | 4 | 3 | 7 | 18:27 | 15 |
| დიუსელდორფი | 14 | 4 | 3 | 7 | 9:21 | 15 |
| დუისბურგი | 14 | 3 | 4 | 7 | 12:21 | 13 |
| არმინია | 14 | 3 | 4 | 7 | 15:25 | 13 |
| ფრაიბურგი | 14 | 4 | 1 | 9 | 18:32 | 13 |
| ჰანზა | 14 | 3 | 3 | 8 | 15:21 | 12 |

## მეორე ბუნდესლიგა

მე-14 ტური. ვოლფსბურგი — კიკერსი 0:0; კაიზერსლაუტერნი — ცვიკაუ 4:1; ჰერტა — უნტერჰახინგი 3:0; მაინცი — კარლ ცაისი 3:2; ოლდენბურგი — ლიუბეკი 1:1; როტ ვაისი — მანჰაიმი 2:1; გიუტერსლო — აინტრახტი 3:1; ლაიპციგი — მეპენი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კსლაუტერნი | 14 | 8 | 6 | 0 | 26:7 | 30 |
| ვოლფსბურგი | 14 | 5 | 7 | 2 | 16:8 | 22 |
| კიკერსი | 14 | 6 | 4 | 4 | 19:15 | 22 |
| ურდინგენი | 13 | 6 | 3 | 4 | 21:14 | 21 |
| მაინცი | 14 | 5 | 6 | 3 | 23:18 | 21 |
| ლაიპციგი | 14 | 6 | 3 | 5 | 27:26 | 21 |
| ფორტუნა | 13 | 5 | 5 | 3 | 26:15 | 20 |
| მეპენი | 14 | 4 | 8 | 2 | 17:16 | 20 |
| გიუტერსლო | 14 | 6 | 2 | 6 | 16:19 | 20 |
| ჰერტა | 13 | 5 | 4 | 4 | 21:14 | 19 |
| უნტერჰახინგი | 14 | 3 | 10 | 1 | 10:10 | 19 |
| კარლ ცაისი | 14 | 4 | 6 | 4 | 18:18 | 18 |
| აინტრახტი | 14 | 4 | 4 | 6 | 18:20 | 16 |
| მანჰაიმი | 14 | 3 | 5 | 6 | 20:27 | 14 |
| როტ ვაისი | 14 | 4 | 1 | 9 | 20:33 | 13 |
| ცვიკაუ | 14 | 3 | 3 | 8 | 14:21 | 12 |
| ლიუბეკი | 14 | 2 | 5 | 7 | 9:24 | 11 |
| ოლდენბურგი | 14 | 2 | 4 | 8 | 16:33 | 10 |

## ესპანეთი

მე-13 ტური. ესპანიოლი — ატლეტიკო 1:2 (გარსია 80; კამინერო 46, სანტი 48), კომპოსტელა — დეპორტივო 0:0, ტენერიფე — ერკულესი 3:1 (რობაიანა 48, ლორენტე 86, კოდრო 90; ალფარო 84 პ), ვალენსია — ესტრემადურა 0:0, სევილია — რეალი 1:3 (სალვა 55; მიატოვიჩი 20, 61, შუკერი 30), სპორტინგი — ბილბაო 2:4 (ფერნანდესი 10, სალინასი 83; ურსიასი 6, გერერო 57, ზიგანდა 70, 78), ლოგრონიესი — სელტა 0:3 (გუდელი 57, 75, სელი 68), რასინგი — ოვიედო 1:0 (ბესჩასტნიხი 77), სარაგოსა — ბეტისი 2:2 (დანი 33, 82; ალექსისი 47, 85 პ), სოსიედადი — რაიო ვალეკანო 3:1 (კოვაშევიჩი 32, კრაიოვეანუ 33, დექუინტანა 55 საკ. კარში; დე ქუინტანა40)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 13 | 8 | 5 | 0 | 26:10 | 29 |
| ბარსელონა | 12 | 8 | 4 | 0 | 36:14 | 28 |
| დეპორტივო | 13 | 7 | 6 | 0 | 18:6 | 27 |
| ბეტისი | 13 | 6 | 5 | 2 | 23:12 | 23 |
| ვალიადოლიდი | 12 | 7 | 2 | 3 | 18:9 | 23 |
| ბილბაო | 13 | 6 | 3 | 4 | 26:21 | 21 |
| ატლეტიკო | 13 | 6 | 3 | 4 | 22:17 | 21 |
| რასინგი | 13 | 5 | 6 | 2 | 15:14 | 21 |
| სოსიედადი | 13 | 6 | 2 | 5 | 19:18 | 20 |
| ტენერიფე | 13 | 5 | 4 | 4 | 21:12 | 19 |
| ვალენსია | 13 | 5 | 2 | 6 | 19:18 | 17 |
| სელტა | 13 | 4 | 5 | 4 | 13:13 | 17 |
| რაიო | 13 | 4 | 4 | 5 | 18:17 | 16 |
| ესპანიოლი | 13 | 4 | 3 | 6 | 17:19 | 15 |
| ოვიედო | 13 | 4 | 3 | 6 | 17:20 | 15 |
| სევილია | 13 | 4 | 2 | 7 | 11:15 | 14 |
| სპორტინგი | 13 | 3 | 4 | 6 | 13:18 | 13 |
| კომპოსტელა | 13 | 3 | 4 | 6 | 13:26 | 13 |
| ლოგრონიესი | 13 | 3 | 3 | 7 | 7:27 | 12 |
| სარაგოსა | 13 | 1 | 7 | 5 | 16:22 | 10 |
| ესტრემადურა | 13 | 1 | 3 | 9 | 7:25 | 6 |
| ერკულესი | 13 | 1 | 2 | 10 | 8:26 | 5 |

## იტალია

### IX ტური

### რეჯანა 1:3 ბოლონია

15 000 მაყურებელი

რეჯანა: ბალოტა, ჰატი, ტონეტო, მაცოლა, გალი, გრანი, ხკენარდი, დე ნაპოლი (ტოვალიერი 53), ვალენხია, პედონე, ხაბაუ (ხიმუტენკოვი 75)

ბოლონია: ანტონიოლი, კარბონე, პარამატი, მანგონი, ტორიზი, დე მარკი, ნერვო (ბრეშანი 46), მაროკი, ანდერხონი (მაგონე 89), ხკაპოლო (შალიმოვი 46), კოლივანოვი

გოლი: ვალენხია (43), ანდერხონი (52), პარამატი (69), კოლივანოვი (74 პ)

### ნაპოლი 4:2 პერუჯა

50 000 მაყურებელი

ნაპოლი: ტალიალატელა, კოლონეზე, მილანეზე (კრასონი 46), კრუხი, ბალდინი, აიალა, ტურინი, პეკია, კაჩა (პოლიკანო 79), ბეტო (ალტომარა 62), ალიეტი

პერუჯა: კოჩიჩი, კასტელინი, დი კიარა, კრეეკი (გორეტი 57), დიკარა, მატრეკანო, გაუტიერი (პაგანო 57), ჯუნტი, ნეგრი, ალეგრი, რაპაიჩი (პიცი 72)

გოლი: ალიეტი (29, 60), კრეეკი (30), ბეტო (46), ალეგრი (66), კრუხი (94)

### რომა 3:1 კალიარი

47 451 მაყურებელი

რომა: ხტერკელე, ალდაირი, კარბონი, ტომაზი, პეტრუცი, დანა, დი ბიაჯო, ტერნი (ბერნარდინი 46), ბალბო, ტოტი (მორიერო 74), დელვეკიო

კალიარი: პასკოლო, პანკარო, ბეტარინი, ლონხტრუპი (ბანკელი 63), ვილა, ვეგა, ბიზოლი, ხანა (ბრეხანი 46), მუცი, ონილი (კოცა 56), ხილვა

გოლი: დი ბიაჯო (52), ბალბო (59 პ, 79), ბანკელი (68)

### სანპდორია 1:1 პარმა

28 000 მაყურებელი

ხამპდორია: ფერონი, ბალერი (ხაკეტი 83), პესარეზი, ფრანჩესკეტი, მანინი, მიჰაილოვიჩი, კარემბუ (ინვერნიცი 72), ვერონი, კარპარელი (ხალხანო 79), მანჩინი, ლაილე

პარმა: ბეკონი, ზემარია, ბენარივო (მუხი 45), ხენხინი, ტურამი, აპოლონი (ბრამბილა 59), ბრავო (მელი 79), ბაჯო, კიეზა, ხტრადა, კრესპო

გოლი: კარპარელი (32), კიეზა (81)

### ვერონა 2:2 ვიჩენცა

23 788 მაყურებელი

ვერონა: გრეგინა, ბაჩი, ხივილია, კოლუჩი, ბარინი, კატირი, ორლანდინი, კორინი (კავერძანი 61), მანიერო, ჯუნტა, ძანინი (მანეტი 75)

ვიჩენცა: მინდინი, ხარტორი, დიგნაციო (ამბროზეტი 59), დი კარლო, ბელოტი, ლოპეხი, ბეგეტო, ვივიანი (მ. როხი 28, ამერინი 94), მურჯიტა, მაინი, ოტერო

გოლი: ლოპეხი (12 საჯ. კარში), მანიერო (24), მურჯიტა (36), ბარინი (79 საკ. კარში)

### იუვენტუსი 0:0 მილანი

50 000 მაყურებელი

იუვენტუხი: პერუცი, პორინი, ტაკონარდი, ჯულიანო, ტორიჩელი, დი ლივიო, ზიდანი (დელ პიერო 87), დეშამპი, იუგოვიჩი, ბოკშიჩი, ვიერი (პადოვანო 59)

მილანი: როხი, რაიციგერი, კოხტაკურტა, ბარეზი, მალდინი, ერანიო, ალბერტინი, ბობანი, დავიდხი (ამბროზინი 66), ვეა, ბაჯო (ხიმონე80)

ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე ორი იტალიური გიგანტი, „იუვენტუსი“ და „მილანი“ ტურინის „სტადიო დელლე ალპიზე“ შეხვდნენ ერთმანეთს. მხარეებმა დიდი ბრძოლა გამართეს, ოღონდ ტაბლოზე თავისი უპირატესობა ვერცერთმა ასახა. მილანელებს ამ შეხვედრაში დაუბრუნდათ გამოცდილი ფრანკო ბარეზი, რომელიც სეზონში მოედანზე სულ მეორედ გამოვიდა, მაგრამ განა ეს მის ცოდნას დაეტყობოდა? ბარეზიმ იტალიის ჩემპიონთა დაცვა ერთ მუშტად შეკრა და კლდედ აღმართა. იუვენტუსელთა მხრივ გოლკიპერმა ანჯელო პერუციმ გამოიდო თავი.

ყველაზე მწვავე მომენტად, ალბათ, 60-ე წუთზე დატრიალებული ამბავი უნდა მივიჩნიოთ, როდესაც შეცვლაზე შესულმა მიქელე პადოვანომ, ახლოდან, სტუმრათა მეკარეს სებასტიანო როსის კი გამოავლო პირში ჩალა, მაგრამ ძელს ველარაფერი მოუხერხა.

ბოლო წუთებში „მილანმა“ ორჯერ შექმნა ხიფათი. პირველად ხორვატმა ზვონიმირ ბობანმა კარს გადააცილა, მეორედ კი მარკო სიმონეს პერუციმ არ გაატანინა.

### ინტერი 2:2 ფიორენტინა

ინტერი: პალიუკა, ანგლომა, პაგანინი, გალანტე, პისტონე (სფორცა 76), ძანეტი, ინხი, ფრეზი, ვინტერი, ჯორკაეფი (ბერტი 74), განცი

ფიორენტინა: ტოლდო, ფალკონე, პუშედუ, ამორუზო, პადალინო, ფირიკანო, ბიჯიკა, კოიხი, რობიატი, ბატისტუტა (ბაიანო 89), ოლივეირა

გოლი: ოლივეირა (44, 46), განცი (50), ინხი (83)

### ატალანტა 1:0 უდინეზე

15 811 მაყურებელი

ატალანტა: პინატო, კოლიო (ერერა 16), როხინი, ბონაჩინა, ხოტილი, კარერა, კარბონე (გალო 14), ფორტუნატო, ლენტინი, მორფეო (როხტიკო 76), ხგრო

უდინეზე: ბატისტინი, პერტოტო, ხერჯო (ჰაძემი 59), პელეგი, კალორი, ბია, ჯანიკედა, როხიტო, ბირპოფი, ორლანდო (ნიკოლი 83), პოჯი

გოლი: პერტოტო (29 საკ. კარში)

### პიაჩენცა 1:3 ლაციო

9 000 მაყურებელი

პიაჩენცა: ტაიპი, ბარი, ტრამეცანი (პოლონია 62), დი ფრანჩესკო, მაკოპი, ლუჩი, ვალტოლინა (ტენტონი 46), პინი, ლუიზო, შენძა (ვალუტი 62), პიოვანი

ლაციო: მარკეჯანი, გარანდინი, ნესტა (ბარონიო 68), ოკონი, შამოტი, ფიში, რამბაუდი (ბუზო 68), ფუზერი, კაზირაგი, ნედვედი, ხინიორი

გოლი: ხინიორი (6,40 პ, 53), შენძა (28)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 9 | 5 | 3 | 1 | 12:7 | 18 |
| ვიჩენცა | 9 | 5 | 2 | 2 | 17:10 | 17 |
| იუვენტუსი | 9 | 4 | 4 | 1 | 11:7 | 16 |
| ბოლონია | 9 | 5 | 1 | 3 | 16:13 | 16 |
| ნაპოლი | 9 | 4 | 3 | 2 | 13:13 | 15 |
| სამპდორია | 9 | 4 | 2 | 3 | 14:8 | 14 |
| რომა | 9 | 4 | 2 | 3 | 17:13 | 14 |
| მილანი | 9 | 4 | 2 | 3 | 14:10 | 14 |
| ფიორენტინა | 9 | 3 | 4 | 2 | 11:9 | 13 |
| პარმა | 9 | 3 | 3 | 3 | 11:10 | 12 |
| უდინეზე | 9 | 3 | 3 | 3 | 10:10 | 12 |
| პერუჯა | 9 | 4 | 0 | 5 | 12:15 | 12 |
| ლაციო | 9 | 3 | 2 | 4 | 9:10 | 11 |
| პიაჩენცა | 9 | 3 | 2 | 4 | 9:12 | 11 |
| ატალანტა | 9 | 2 | 3 | 4 | 9:16 | 9 |
| კალიარი | 9 | 2 | 1 | 6 | 10:15 | 7 |
| ვერონა | 9 | 1 | 3 | 5 | 9:18 | 6 |




იუვენტუსი — მილანი: ალენ ბოკშიჩი სებასტიანო როსის წინააღმდეგ

## საფრანგეთი

მე18 ტური. ბორდო — პარი სენ ჟერმენი 5:3 (პაპენი 4, 52 პ, მიკუ 31, ბიაჯო 74, დიავარა 84; ლოკო 36, 43, დელი ვალდესი 62), კაენი — მონაკო 0:1 (ანრი 88), რენი — ოსერი 1:0 (გუივარი 80), ბასტია — მეცი 2:1 (პერეხი 80, ლურენი 90; სტრასერი 71), მარსელი — ლანსი 2:1 (ასუა 18, იამბაი 28; რიჩკოვი 38), ნანტი — გინგამი 1:1 (გუვერნეკი 19; ვრე 14), სტარსბური — კანი 2:0 (ზიტელი 58, პეტი 86), ნიცა — ლე ავრი 0:3 (ბოლი 16), მუისმანი 73, ბრანდო 88), ნანსი — მონპელიე 0:0, ლილი — ლიონი 1:1 (ბეჩანოვიჩი 80; კაველია 79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პ.ს.ჟ. | 18 | 11 | 5 | 2 | 30:12 | 38 |
| მონაკო | 18 | 10 | 5 | 3 | 33:16 | 35 |
| ბორდო | 18 | 8 | 6 | 4 | 26:19 | 30 |
| ბასტია | 18 | 8 | 6 | 4 | 24:19 | 30 |
| ოსერი | 18 | 7 | 8 | 3 | 24:10 | 29 |
| მეცი | 18 | 7 | 7 | 4 | 20:15 | 28 |
| სტრასბური | 18 | 9 | 1 | 8 | 22:26 | 28 |
| ლილი | 18 | 7 | 6 | 5 | 22:27 | 27 |
| რენი | 18 | 7 | 4 | 7 | 22:24 | 25 |
| ლიონი | 18 | 6 | 7 | 5 | 22:26 | 25 |
| მარსელი | 18 | 6 | 6 | 6 | 18:17 | 24 |
| ლანსი | 18 | 7 | 3 | 8 | 23:27 | 24 |
| ნანტი | 18 | 5 | 8 | 5 | 30:22 | 23 |
| გინგამი | 18 | 5 | 7 | 6 | 15:17 | 22 |
| ლე ავრი | 18 | 5 | 5 | 8 | 20:21 | 20 |
| კანი | 18 | 4 | 7 | 7 | 10:17 | 19 |
| მონპელიე | 18 | 3 | 8 | 7 | 15:21 | 17 |
| კაენი | 18 | 3 | 7 | 8 | 11:18 | 16 |
| ნანსი | 18 | 2 | 6 | 10 | 11:22 | 12 |
| ნიცა | 18 | 2 | 4 | 12 | 14:36 | 10 |

## შოტლანდია

მე-12 ტური. აბერდინი — დანდი იუნ. 3:3; ჰართსი — ჰიბერნიანი 0:0; კილმარნოკი — მოზერველი 2:4; რეით როვერსი — დანფერმლაინი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 12 | 9 | 2 | 1 | 28:9 | 29 |
| სელტიკი | 12 | 8 | 2 | 2 | 29:11 | 26 |
| აბერდინი | 12 | 5 | 4 | 3 | 24:14 | 19 |
| ჰართსი | 13 | 5 | 4 | 4 | 16:17 | 19 |
| დანფერმლაინი | 12 | 4 | 4 | 4 | 16:23 | 16 |
| ჰიბერნიანი | 12 | 4 | 3 | 5 | 11:20 | 15 |
| მოზერველი | 13 | 3 | 5 | 5 | 15:20 | 14 |
| დანდი იუნ. | 12 | 3 | 4 | 5 | 13:14 | 13 |
| კილმარნოკი | 12 | 3 | 2 | 7 | 17:26 | 11 |
| რეით როვერსი | 12 | 1 | 2 | 9 | 11:26 | 5 |

## ჰოლანდია

მე-16 ტური. ჰერენვენი — ფეიენოორდი 1:0, გრააფსხაპი — ვოლენდამი 1:0, უტრეხტი — როდა 1:1, ალკმაარი — ვალვაიკი 2:1, სიტარდი — ტვენტე 1:1, ბრედა — აიაქსი 2:0, ტილბურგი — ეინდჰოვენი 1:0, სპარტა — გრონინგენი 0:2, ნაიმეგენი — ვიტესი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი | 16 | 11 | 3 | 2 | 46:13 | 36 |
| ფეიენოორდი | 16 | 11 | 2 | 3 | 27:18 | 35 |
| ჰერენვენი | 16 | 7 | 6 | 3 | 27:16 | 27 |
| გრააფსხაპი | 15 | 8 | 3 | 4 | 26:18 | 27 |
| აიაქსი | 16 | 7 | 6 | 3 | 20:13 | 27 |
| ვიტესი | 16 | 7 | 5 | 4 | 26:18 | 26 |
| ტვენტე | 15 | 7 | 4 | 4 | 22:14 | 25 |
| როდა | 16 | 6 | 6 | 4 | 18:21 | 24 |
| უტრეხტი | 16 | 3 | 9 | 4 | 22:22 | 18 |
| სპარტა | 17 | 5 | 3 | 9 | 18:22 | 18 |
| ვოლენდამი | 16 | 4 | 6 | 6 | 16:21 | 18 |
| ბრედა | 16 | 5 | 3 | 8 | 14:24 | 18 |
| ალკმაარი | 16 | 5 | 2 | 9 | 16:20 | 17 |
| ნაიმეგენი | 16 | 3 | 7 | 6 | 18:25 | 16 |
| ტილბურგი | 16 | 4 | 4 | 8 | 16:27 | 16 |
| სიტარდი | 16 | 3 | 6 | 7 | 13:27 | 15 |
| გრონინგენი | 15 | 3 | 5 | 7 | 16:26 | 14 |
| ვალვაიკი | 16 | 2 | 4 | 10 | 14:30 | 10 |

## შვეიცარია

მე-20 ტური. ბაზელი — ლუგანო 2:0, ხერვეტი — ხიონი 0:0, იანგ ბოიზი — არაუ 1:1, ციურიხი — ლოზანა 3:0, სენტგალენი — ქსამაქსი 1:3, ლუცერნი — გრასჰოპერი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქსამაქსი | 20 | 11 | 7 | 2 | 33:19 | 40 |
| გრასჰოპერი | 20 | 9 | 9 | 2 | 39:24 | 36 |
| სიონი | 20 | 9 | 8 | 3 | 29:17 | 35 |
| ლოზანა | 20 | 9 | 5 | 6 | 34:31 | 32 |
| არაუ | 20 | 7 | 8 | 5 | 17:13 | 29 |
| სენტ გალენი | 20 | 7 | 8 | 5 | 20:23 | 29 |
| ციურიხი | 20 | 6 | 8 | 6 | 24:24 | 26 |
| სერვეტი | 20 | 5 | 8 | 7 | 22:22 | 23 |
| ლუცერნი | 20 | 4 | 10 | 6 | 24:28 | 22 |
| ბაზელი | 20 | 4 | 9 | 7 | 31:35 | 21 |
| ლუგანო | 20 | 2 | 8 | 10 | 13:29 | 14 |
| იანგ ბოიზი | 20 | 1 | 4 | 15 | 16:37 | 7 |

## რუსეთი

### სპარტაკი 2:1 ალანია

16 ნოემბერს მოსკოვიდან პეტერბურგში ჩასულმა „სპარტაკის“ 8 000 გულშემატკივარი საყვარელი გუნდის ჩემპიონობას ზეიმობდა — „სპარტაკმა“ რუსეთის ჩემპიონის ტიტული დაიბრუნა!

პირველი ტაიმი „სპატრაკმა“ უფრო ორგანიზებულად ჩაატარა. მოსკოველთა შეტევები მწვავე იყო და მათი უზუსტობა რომ არა, ციმბალარის მიერ გატანილ გოლს კიდევ რამდენიმე დაემატებოდა. მეორე ტაიმში კი „ალანიას“ უპირატესობა აშკარა იყო. ვლადიკავკაზელებმა მოსკოველები საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვეს, უამრავი მომენტიც შექმნეს, მაგრამ... გოლი საკუთარ კარში მიიღეს — 84-ე წუთზე რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა ტიხონოვმა მარცხენა ფლანგიდან დაარტყა და ოსთა მეკარე კრამარენკო შეცდა — 0:2. შეხვედრა თითქოს აქ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ „ალანიამ“ ძალა მოიკრიბა და 88-ეზე კანიშჩევმა ანგარიშში სხვაობა შეამცირა. ის კი არა, მატჩის ბოლოს კართან მარტოდ დარჩენილ სულეიმანოვს ბურთისთვის ფეხი რომ არ აეცილებინა, გამარჯვებულს დამატებითი დრო გამოავლენდა.

## ავსტრია

მე-17 ტური. ტიროლი — ზალცბურგი 0:1, რაპიდი — რიედი 6:0, ლინცერი — აუსტრია 1:0, გრაცერი — შტურმი 2:2, ადმირა — ლინცი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 17 | 10 | 6 | 1 | 37:14 | 36 |
| ზალცბურგი | 17 | 10 | 5 | 2 | 23:8 | 35 |
| ტიროლი | 17 | 8 | 5 | 4 | 27:17 | 29 |
| ლინცერი | 17 | 6 | 6 | 5 | 19:20 | 24 |
| აუსტრია | 17 | 6 | 3 | 8 | 19:29 | 21 |
| შტურმი | 17 | 5 | 5 | 7 | 23:21 | 20 |
| გრაცერი | 17 | 4 | 7 | 6 | 19:23 | 19 |
| რიედი | 17 | 5 | 2 | 10 | 21:35 | 17 |
| ადმირა | 17 | 3 | 6 | 8 | 18:27 | 15 |
| ლინცი | 17 | 3 | 5 | 9 | 9:21 | 14 |

## თურქეთი

მე-16 ტური. გალათასარაი — ბეშიქთაში 2:2; ალთაი — ზეითუნბურნუ 0:0; დენიზლი — ბურსა 2:3; სარიერი — ქოჯაელი 2:1; გაზიანთეფი — ანთალია 1:0; გენჩლერბირლიგი — ვანი 1:0; ისთანბული — ფენერბაჰჩე 1:1; დარდანელი — ტრაბზონი 0:2; სამსუნი — ანკარაგიუჯიუ 2:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 13 | 10 | 2 | 1 | 37:11 | 32 |
| ფენერბაჰჩე | 13 | 9 | 2 | 2 | 30:9 | 29 |
| ტრაბზონი | 13 | 9 | 2 | 2 | 26:12 | 29 |
| ბეშიქთაში | 13 | 8 | 4 | 1 | 31:9 | 28 |
| ბურსა | 13 | 7 | 3 | 3 | 15:9 | 24 |
| გაზიანთეფი | 13 | 6 | 4 | 3 | 16:13 | 22 |
| ქოჯაელი | 13 | 6 | 3 | 4 | 18:14 | 21 |
| ანკარაგიუჯიუ | 13 | 6 | 0 | 7 | 19:21 | 18 |
| სამსუნი | 13 | 5 | 3 | 5 | 17:20 | 18 |
| სარიერი | 13 | 5 | 3 | 5 | 17:20 | 18 |
| გენჩლერბირ. | 13 | 4 | 3 | 6 | 12:16 | 15 |
| ალთაი | 13 | 4 | 2 | 7 | 12:27 | 14 |
| ანთალია | 13 | 3 | 4 | 6 | 14:17 | 13 |
| ისთანბული | 13 | 3 | 4 | 6 | 12:18 | 13 |
| დარდანელი | 13 | 3 | 3 | 7 | 10:19 | 12 |
| ვანი | 13 | 3 | 2 | 8 | 12:25 | 11 |
| დენიზლი | 13 | 2 | 2 | 9 | 14:29 | 8 |
| ზეითუნბურნუ | 13 | 0 | 2 | 11 | 8:31 | 2 |

## პორტუგალია

მე-14 ტური. სპორტინგი — ჟილ ვისენტე 2:0; შავეში — ბელენენსეში 2:2; მარიტიმუ — ლეცა 0:1; სალგეირუში — ლეირია 3:0; ფარენსე — გიმარაეში 1:0; ამადორა — სეტუბალი 2:0; ესპინიუ — ბენფიკა 0:3; ბოავიშტა — ბრაგა 3:0; რიუ ავე — პორტუ 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 10 | 8 | 2 | 0 | 18:2 | 26 |
| ბენფიკა | 10 | 7 | 2 | 1 | 21:4 | 23 |
| სპორტინგი | 10 | 7 | 1 | 2 | 15:6 | 22 |
| ამადორა | 10 | 5 | 2 | 3 | 9:6 | 17 |
| ფარენსე | 10 | 5 | 2 | 3 | 8:6 | 17 |
| ესპინიუ | 10 | 5 | 2 | 3 | 13:14 | 17 |
| სეტუბალი | 10 | 4 | 4 | 2 | 16:12 | 16 |
| ლეცა | 10 | 4 | 3 | 3 | 11:7 | 15 |
| ბრაგა | 10 | 4 | 3 | 3 | 14:15 | 15 |
| ბოავიშტა | 10 | 3 | 4 | 3 | 14:12 | 13 |
| სალგეირუში | 10 | 3 | 4 | 3 | 11:10 | 13 |
| მარიტიმუ | 10 | 3 | 3 | 4 | 11:14 | 12 |
| შავეში | 10 | 3 | 3 | 4 | 12:16 | 12 |
| ბელენენსეში | 10 | 3 | 2 | 5 | 13:18 | 11 |
| გიმარაეში | 10 | 2 | 2 | 6 | 12:18 | 8 |
| ლეირია | 10 | 2 | 0 | 8 | 6:21 | 6 |
| ჟილ ვისენტე | 10 | 1 | 1 | 8 | 9:21 | 4 |
| რიუ ავე | 10 | 0 | 2 | 8 | 10:21 | 2 |

## ფეხბურთის რუკასთან

მექსიკამ, კვირას, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში იამაიკასთან 0:1 წააგო. იამაიკელთა გამარჯვების გოლი თამაშის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე იან გოდისონმა გაიტანა, რითაც თავისი ქვეყანა ნახევარფინალური ეტაპის მესამე ჯგუფში პირველ ადგილზე აღაზევა. მიუხედავად მარცხისა, მექსიკა მეორეა, არადა ჰონდურასმა, იმის იმედით, იქნ მექსიკა მოიგებსო, საბრალო სენტ ვინსენტს 11:3 გადაუგბინა... ახლა, კონკაკაფის ზონიდან საფრანგეთისკენ მიმავალ გზას იამაიკა, მექსიკა და ფინალური ეტაპის მონაწილე კიდევ ოთხი ქვეყანა გააგრძელებს.

პორტუგალიის „მარიტიმუშ“ ბარზილიელი მწვრთნელი მარინიო პერესი დაითხოვა. მიზეზი მარტივია, კლუბის პრეზიდენტს რუი ფონტეშს წლევანდელი შედეგი არ მოსწონს. „მარიტიმუს“ მორიგი მწვრთნელი ჯერ უცნობია, პერესი კი კოლეგათა შორის მესამეა ამ სეზონში რომ გაათავისუფლეს.

კოსტა რიკამ გვატემალას 3:0 მოუგო და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ამერიკის შეერთებულ შტატებს გაუტოლდა. კონკაკაფის ზონის ნახევარფინალური ეტაპის პირველ ჯგუფში აშშ-ს და კოსტა რიკას ახლა ორი თამაშიდან 6 ქულა აქვთ, ტრინიდადსა და გვატემალას კი სამიდან თითო.

აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის თასი (უეფას თასის იქაური ანალოგია) გადამწყვეტ ეტაპზეა. გაიმართა ფინალის პირველი შეხვედრა, რომელშიც ტუნისის „ეტოილ საჰელმა“ მაროკოს „კავკაბ მარაკეშს“ 3:1 მოუგო. ანგარიში მაროკოელმა აზიზ ზებდიმ გახსნა მე-5 წუთზე, შემდეგ კი ტუნისელებმა იძალეს. 24-ზე კაის გოდბანემ გაქვითა, 30-ზე ლოფტი ბაკუშმა პენალტით დაიწინაურა თავისიანები, ხოლო 36-ზე რიად ბუაზიზიმ საბოლოო სიტყვა თქვა.

ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დევიდ ჰილი განაგრძობს ინგლისში მოგზაურობას და ამ ქვეყნის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს ტერი ვენეიბლზს თავისი ნაკრების მწვრთნელობას სთხოვს. ამბობენ ვენეიბლზი თუმც ჯერ არ დათანხმებულა, შორსაც არ იჭერსო. გაირკვა, რომ ჰილი იმავდროულად ირლანდიელთა ექსთავკაცს ჯეკი ჩარლტონსა და ჰოლანდიელ იოჰან კრუიფსაც უკავშირდება, „ლიდს იუნაიტედის“ გადამდგარ ხელმძღვანელ ჰოვარდ ვილკინსონთან კი კვირას უვახშმია.

ბულგარელ იორდან ლეჩკოვს ცუდი დროება უდგას. ახლა იგი „მარსელშია“, მაგრამ არა მოედანზე, არამედ სკამზე ან სულაც ტრიბუნაზე. ბებერი იორდანი მარსელის სკოლის აღზრდილ ლუდოვიკ ასუარს ვერ უწევს კონკურენციას, გუნდის მწვრთნელი ჟერარ ჟილი კი აცხადებს მხოლოდ განთქმული სახელი ჩემთვის ბევრს არაფერს ნიშნავსო. ასე რომ, სულაც არაა გამორიცხული ლეჩკოვი კვლავ სატრანსფერო სიაში ვიხილოთ.

იტალიელი მეკარე, 38 წლის ჯულიანო ჯულიანი, რომელიც მარადონას დროინდელი „ნაპოლის“ კარს იცავდა, ბოლონიის „პოლიკლინიკო სანტორსოლაში“ გარდაიცვალა. დეტალები უცნობია. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ მას უკურნებელი სენი სჭირდა. ჯულიანიმ კარიერა 1976 წელს, მესამე დივიზიონის „არეცოში“ დაიწყო. თამაშობდა სერია A-ს „კომოსა“ და „ვერონაში“, შემდეგ კი „უდინეზეს“ უმაღლეს დონეზე აღზევებაში შეეშველა. მისი მწვერვალი „ნაპოლი“ იყო, სადაც უეფას თასი და ქვეყნის ჩემპიონობა მოიგო.

იტალიაშივე რეჯანელი გულშემატკივარი, 66 წლის ერმონო ვეკი სტადიონის გასასვლელში ინფარქტით გარდაიცვალა. საბრალოს, ალბათ ისედაც დაავადებულ გულს, „რეჯანის“ „ბოლონიასთან“ საშინაო მარცხი (1:3) შხამის ბოლო წვეთად დაეცა.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია
## "CROCO"

### უეფას თასი. მერვედფინალი. პირველი მატჩები
19 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მეცი — ნიუკასლი | (5,0-1,1) | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| მონაკო — ჰამბურგი | (1,7-1,7) | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| ინტერი — ბოავიშტა | (1,05-7,5) | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| ბრონდბიუ — კარლსრუე | (2,8-1,3) | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| ტენერიფე — ფეიენოორდი | (1,6-1,8) | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| ანდერლეხტი — ჰელსინგბორგი | (1,15-4,0) | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| ბრიუგე — შალკე | (2,0-1,5) | 1,7 | 2,9 | 3,2 |
| ვალენსია — ბეშიქთაში | (1,05-7,5) | 1,15 | 3,6 | 9,0 |

### ჩემპიონთა ლიგა. V ტური
20 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| რეინჯერსი — გრასჰოპერი | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| აიაქსი — ოსერი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ვიძევი — დორტმუნდი | 3,8 | 2,8 | 1,6 |
| სტიაუა — ატლეტიკო | 3,2 | 2,6 | 1,8 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — იუვენტუსი | 1,8 | 2,7 | 3,1 |
| ფენერბაჰჩე— რაპიდი | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| პორტუ — მილანი | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| რუსენბორგი — გიოტებორგი | 2,2 | 2,5 | 2,5 |

### ჰოლანდია.გადატანილი მატჩები
21 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტვენტე — ჰერენვენი | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| გრააფსხაპი — გრონინგენი | 1,15 | 3,8 | 8,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე

## CROCO-2

| ტირაჟი №94 | ტირაჟი №95 |
|---|---|
| 1. მეცი — ნიუკასლი | 1. რეინჯერსი — გრასჰოპერი |
| 2. მონაკო — ჰამბურგი | 2. აიაქსი — ოსერი |
| 3. ინტერი — ბოავიშტა | 3. ვიძევი — დორტმუნდი |
| 4. ბრონდბიუ — კარლსრუე | 4. სტიაუა — ატლეტიკო |
| 5. ტენერიფე — ფეიენოორდი | 5. მანჩესტერ იუნ. — იუვენტუსი |
| 6. ანდერლეხტი — ჰელსინგბორგი | 6. ფენერბაჰჩე — რაპიდი |
| 7. ბრიუგე — შალკე | 7. პორტუ — მილანი |
| 8. ვალენსია — ბეშიქთაში | 8. რუსენბორგი — გიოტებორგი |

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი. 7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის. თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება JACK POT

ჰოკეი

## პირველი ნახევარფინალისტი ფინელია

ევროლიგის პირველი ნახევარფინალისტი ფინეთის „იოკერიტია", რომელმაც ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა. სულ ერთი ნაბიჯი — ანუ ქულა აშორებთ მეოთხედფინალის საგზურს მოსკოვის „დინამოს" („B" ჯგუფი) და ფინეთის ტპს-ს („A" ჯგუფი). აღნიშვნის ღირსია ჩეხური კლუბების წარმატება. მათ მთავარი კონკურენტები სძლიეს და 4 თამაშში 8 ქულა აიღეს.

„A" ჯგუფი: ბერლინი — მანჩესტერი 6:1, ლულეო — ტპს 0:3

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტპს | 3 | 1 | 0 | 16:5 | 7 |
| ლულეო | 2 | 1 | 1 | 18:13 | 5 |
| ბერლინი | 2 | 0 | 2 | 13:12 | 4 |
| მანჩესტერი | 0 | 0 | 4 | 9:26 | 0 |

„B" ჯგუფი: დინამო (რუსეთი) — ვოლერენგენი (ნორვეგია) 3:2, ფერიესტადი (შვედეთი) — ჩესკე (ჩეხეთი) 3:5

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 3 | 1 | 0 | 17:4 | 7 |
| ჩესკე | 1 | 2 | 1 | 10:9 | 4 |
| ფერიესტადი | 1 | 1 | 2 | 13:15 | 3 |
| ვოლერენგენი | 1 | 0 | 3 | 7:19 | 2 |

„C" ჯგუფი. ვენა (ავსტრია) — ცსკა 1:5, სლოვანი (სლოვაკეთი) — სპარტა (ჩეხეთი) 1:5, 3:5.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 3 | 0 | 1 | 17:11 | 6 |
| სპარტა | 3 | 0 | 1 | 20:9 | 6 |
| სლოვანი | 2 | 0 | 2 | 20:13 | 4 |
| ვენა | 0 | 0 | 4 | 4:28 | 0 |

„D" ჯგუფი. იოკერიტი — მილანი 7:4 (ტორმანენი — ჰეთ-თრიქი), ბერნი — კიოლნი 3:3, იოკერიტი — კიოლნი 3:2 (ეს თამაში ერთი კვირით ადრე ჩატარდა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იოკერიტი | 5 | 0 | 0 | 25:7 | 10 |
| ბერნი | 1 | 2 | 1 | 14:12 | 4 |
| კიოლნი | 1 | 2 | 2 | 13:10 | 4 |
| მილანი | 0 | 0 | 4 | 9:32 | 0 |

„E" ჯგუფი. ლიტვინოვი (ჩეხეთი) — ლუკო (ფინეთი) 9:4, რუანი (საფრანგეთი) — ფრელუნდა (შვედეთი) 2:3

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლიტვინოვი | 2 | 2 | 9 | 18:11 | 6 |
| ფრელუნდა | 2 | 1 | 1 | 13:5 | 5 |
| ლუკო | 2 | 0 | 2 | 13:17 | 4 |
| რუანი | 0 | 1 | 3 | 7:18 | 1 |

ფარიკაობა

## მუშკეტერებში ერთობაა

— უკვე თექვსმეტი ფედერაციის ყრილობას დავესწარი და ასეთი შეკრული კოლექტივი არ მინახავს — თქვა თავის გამოსვლაში სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ჯანო ბაგრატიონმა. არ შემიძლია, არ დავეთანხმო ბატონ ჯანოს სიტყვებს: თექვსმეტზე თუ არა, ათამდე ყრილობაზე გახლდით და ასეთი ერთსულოვნება, როგორიც მოფარიკავეთა ყრილობაზე სუფევდა, სხვაგან არ შემიმჩნევია. ის კი არა, თუ ერთმანეთს არ ჭამდნენ, ქიშპობისა და დაპირისპირების ნელი სურნელი მაინც იგრძნობოდა.

ყრილობა მუშკეტერების სამოსში გამოწყობილი ლტოლვილი გოგო-ბიჭების გამოსვლით დაიწყო. ბავშვები გალექსილი ტექსტით მიესალმნენ იქ დამსწრე საზოგადოებას, პატივი მიაგეს აფხაზეთში საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლებს და მშობლიურ კუთხეში მალე დაბრუნება ისურვეს.

ფედერაციის საქმიანობის შესახებ ანგარიშით ყრილობის დელეგატებს წარუდგა ფედერაციის გენერალური მდივანი მორის სახვაძე. მან გულისტკივილით აღნიშნა, რომ ფარიკაობის დარბაზი კატასტროფულ მდგომარეობაშია და თუ დროზე არ მიეხედა, ჩამონგრეულ ჭერს იატაკიც მიჰყვება და შემდეგ ამ ყოველივეს აღდგენა ასჯერ ძვირი და სახათაბალო გახდებაო. ჯანო ბაგრატიონი დაპირდა მოფარიკავეებს, გაისად, წლის დასაწყისში, როგორც კი ბიუჯეტიდან ჩვენთვის განკუთვნილ თანხას მივიღებთ, აუცილებლად გავირემონტებთ დარბაზსო.

ფედერაციის პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს საქტელერადიო კორპორაციის თავმჯდომარე არჩილ გოგელია, ვიცე-პრეზიდენტებად — იური ოსიპოვი, ზურაბ ცქიტიშვილი და რამაზ ლომინაძე, გენერალურ მდივნად — მორის სახვაძე.

ერეკლე ქიქილაშვილი

ბატუტზე ხტომა

## ჯენტლმენის სიტყვა სიტყვაა

საერთაშორისო ოლიმპიურ ოჯახს შესაძლოა მალე ახალი წევრი შეემატოს. ყოველ შემთხვევაში, ატლანტის ოლიმპიადის წინ სოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი და ტანვარჯიშის სახეობათა საერთაშორისო ფედერაციის (ფიჟ) პრეზიდენტი, იტალიელი ბრუნო გრანდი ჯენტლმენურად შეთანხმდნენ, რომ სოკ-ის უახლოეს კონგრესზე განიხილება ბატუტზე ხტომის ოლიმპიურ სახეობად ცნობა-არცნობის საკითხი. როგორც ბრუნო გრანდისადმი სამარანჩის წერილში ჩანს, მსოფლიოს ოლიმპიელთა „ნათლიმამა" დიდად მოწადინებულია სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში ბატუტისტებიც იხილოს. ეს კეთილგანწყობა კი ფიჟ-ის მესვეურთა პუნქტუალობის შედეგია. მათ დაუყოვნებლივ შეასრულეს სამარანჩის ულტიმატუმი: ბატუტზე ხტომის საერთაშორისო ფედერაცია (ფიტ) ფიჟ-ში გააწევრიანეს. როგორც საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რუსუდან ხოფერიამ გვითხრა, ფიჟ-ს ახლა მცირე დეტალებიღა დარჩა მოსაგვარებელი და, ალბათ, ბატუტისტთა ავსტრალიაში გამგზავრებას წინ არაფერი დაუდგება. და თუ ბრუნო გრანდის რეალობას მიახლოებული ოცნება საქმედ იქცა, მაშინ კი მოუწევთ ჩვენი სპორტის მესვეურთ ბატუტისტთათვის მოწყალე თვალით გადმოხედვა.

ქართველი ბატუტისტები რუსებთან ერთად უძლიერესებად ითვლებოდნენ ყოფილ საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებით ჩვენებური გოგონები, რომელთაც საერთაშორისო ასპარეზზეც მრავალგზის უსახელებიათ თავი. ახლა? ახლა ისეთი დღე ადგათ ბატუტისტებს, ჩვენს მტერს!

1990 წელს ჩვენებმა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა მოიგეს, პირწმინდად დაამარცხეს მეტოქეები, მაგრამ იმ გუნდიდან 2-3 კაციღა თუ დარჩა საქართველოში და ამათაც თავი მიანებეს სპორტს, ცხრა კაცი მოსკოვის ცირკში გამოდის და იქაურ მაყურებელს ართობს აკრობატული ნომრებით. სპორტსმენებს მწვრთნელები და მსაჯებიც მიჰყვნენ — ევრიპიდ გალჩევი საბერძნეთში წავიდა, იგორ ჩერნიავსკი — რუსეთში, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა (საქართველოში სულ ორი კაცი ფლობდა ამ წოდებას) კონსტანტინე გულისაშვილმა კი დროებით ამერიკას შეაფარა თავი. არაერთი სახელოვანი ბატუტისტის, მათ შორის ხოფერიას აღმზრდელი თენგიზ ხუდოევიც დროებით ჩამოცილდა ბატუტს. მოკლედ, ბოლო წლებში თუ რამე კეთდებოდა სპორტის ამ სახეობაში, მწვრთნელ ზაურ სულაშვილისა და რუსუდან ხოფერიას დამსახურებაა. როგორც ხშირად ხდება, აქაც გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწია — ჯერ ბესიკის ქუჩაზე მდებარე სპორტდარბაზი დაიწვა, შემდეგ ბატუტისტთა „მექა" — „მართვეს" სპორტკომპლექსი. ახლა ბატუტისტები, აკრობატები და ტანმოვარჯიშეები ფედერაციის სპორტსკოლის ცივ დარბაზს შეკედლებულნი მორიგეობით ვარჯიშობენ.

„გამოსკოვებულ" ჩვენებურებს ალბათ ველარ დავიბრუნებთ, მაგრამ ვინც დაგვრჩა, იმათ მაინც მივხედოთ და მოვუაროთ. რუსუდან ხოფერია თავისას არ იშლის და ჯიუტად განაგრძობს ვარჯიშს. გერმანიაში ახლახან გამართულ მსოფლიო თასის III ეტაპზე მან და ანა დოლონაძემ II ადგილი დაიკავეს. სამწუხაროდ, აქ ლია ბენდიანიშვილმა უიღბლოდ იასპარეზა, თუმცა ადრე არც იგი უდებდა ტოლს მეგობრებს. თუ ასე გაგრძელდა, ალბათ მალე ერთი ხეირიანი ბატუტისტიც არ გვეყოლება, რადგან მალე ამოეწურებათ ენთუზიაზმი ზაურ სულაშვილისთანა მწვრთნელებს, მთელი დღე თავადაც გაყინულნი რომ ავარჯიშებენ თითისტოლა გათოშილ ბავშვებს.

წელან მსოფლიოს თასის გათამაშება ვახსენეთ. სამი ეტაპიდან ქართველებმა ორში მიიღეს მონაწილეობა — ჩეხეთში და გერმანიაში. პირველ ეტაპზე, კრასნოდარში უსახსრობის გამო ვერ წავიდნენ. ბოლო სამი ეტაპი ახალ ზელანდიაში, ავსტრალიასა და პორტუგალიაში გაიმართება. ამდენად, ექვსივე ეტაპის სამი საუკეთესო შედეგი იძლევა მსოფლიო თასის ლიცენზიას და თუ არ გამოჩნდა თანხა ზემოთ ნახსენებ ქვეყნებში გასამგზავრებლად, მაშინ ჩეხეთსა და გერმანიაში დახარჯული ფულიც და შრომაც ქართველი სპორტსმენებისა წყალს გატანდება.

ტიტულოვან სპორტსმენთა გარდა ბევრი ნიჭიერი და იმედისმომცემი ბავშვი ვარჯიშობს ბატუტზე ხტომაში. თენგიზ ხუდოევიც დაუბრუნდა ბატუტს: ასეა, ოლიმპიელთა გაზრდა უდიდესი სტიმულია ნებისმიერი მწვრთნელისთვის, მაგრამ მარტო ენთუზიაზმი ალბათ არც მას ეყოფა დიდხანს. ჩვენები რომ ბატუტზე ვარჯიშობენ, ისეთი ბატუტები უცხოელებმა კარგა ხანია სამუზეუმო ექსპონატებად აქციეს. ახალი, ფირმა „ევროტრამპის" ბატუტები არა გვაქვს, არადა, მათ შორის განსხვავება ძალიან დიდია და თუ ხამი სპორტსმენი „ევროტრამპს" დროულად არ შეეჩვია, შეჯიბრებისას რაიმე წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტია. კეთილ ადამიანებს რა დალევს, მაგრამ ჩვენებს უფულობამ ერთ კეთილ სიტყვაზე ათქმევინა უარი. გერმანელმა ბუტუტის მესვეურებმა სამკვირიან შეკრებაზე მიიწვიეს ქართველები — დარბაზს დაგითმობთ, ნურც ბინაზე იზრუნებთ, ყველაფერს დაგახვედრებთ, ოღონდ ჩამოდითო. სამი კაცი რა არის, სამი კაცის გასამგზავრებელი ფული არ აღმოჩნდა. ამასობაში ფრანკფურტის ბაზა დროებით დაიკეტა, შესაძლო მასპინძლებმა კი შემოთვალეს, ეგებ ნააზალწლევს მაინც იშოვნოთ ფული და ჩამოხვიდეთ, როცა ბაზა გაიღებაო. უცხოელები რომ გვაფასებენ, ამის დასტურად კიდევ ერთი ფაქტის მოხმობაც კმარა: გაისისთვის დაგეგმილი მსოფლიო თამაშები ფინეთში ტარდება. აქ გასამგზავრებელი ლიცენზია ჩვენმა სპორტსმენებმა ვერ მოიპოვეს, რადგან უფულობის გამო კანადაში ვერ იასპარეზეს, ლიცენზიებს კი შინ არავის უგზავნიან. ფიჟ-ის გენერალურმა მდივანმა ანდრე გიუზბიულერმა დააიმედა ჩვენები, როგორც გენმდივანს 5 ადგილი თამაშებზე დაჯავშნული მაქვს და ორი სპორტსმენი საქართველოდან მსურს დავუშვა ულიცენზიოდო. მადლობის მეტი რა გვეთქმის კეთილი შვეიცარიელისთვის, მაგრამ იქნება კი ფული, რომ უცხოელის სიქველით ვიხეიროთ?

მოკლედ, დასკვნა ასეთია: მალე ბატუტზე ხტომა ოლიმპიური სახეობა გახდება და თუ სადმე გვაქვს რეალური შანსი სიდნეიში ოლიმპიური მედალი მოვიგოთ, ერთ-ერთი რეალური ბატუტზე ხტომაა. არ არსებობს ტიტული ამ სახეობაში, ჩვენებს არ მოეპოვებინოთ (ყოფილ საკავშირო, ევროპისა და მსოფლიოს მასშტაბით). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენელთაგან განსხვავებით ბატუტისტებს არ სძინებიათ სალათას ძილით. ძველი ინტენსივობით არა, მაგრამ შედეგი გაჭირვებული ცხოვრების კვალობაზე მაინც იყო. 1993 წელს ხოფერიამ და დოლონაძემ ევროპის ჩემპიონატზე 2-2 ვერცხლი მოიგეს, იმავე წელს მსოფლიო თასის I გათამაშებაშიც გაიმარჯვეს, უსახსრობის გამო ორწლიანი შესვენების შემდეგ კი უცხოეთში პირველივე გასვლაზე კვლავ მეორენი იყვნენ ევროპელთა შორის. ჰოდა, როცა ქვეყანაში არსებობს სპორტის ამა თუ იმ სახეობის ტრადიცია, გვყავს მსოფლიო კლასის ოსტატები, კვალიფიციური მწვრთნელები, პერსპექტიული სპორტსმენები, სახელმწიფომ თუ კერძო სტრუქტურებმა შეძლებისდაგვარად უნდა გაიღონ გასაღები მის განსავითარებლად. თუ სამარანჩმა სიტყვა არ გატეხა და ბატუტისტები სიდნეიში დაიმგზავრა, მანამდე უნდა შევუქმნათ ჩვენს ბატუტისტებს ხეირიანი წვრთნა-შეჯიბრების პირობები, გაასკეცებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ნაჩემპიონარ თუ საჩემპიონოდ გამზადებულ გოგო-ბიჭებს, თორემ ჩვენც იმ კაცივით დაგვემართება, სახლში თურაშაული რომ ულპებოდა და ტყეში პანტას ეძებდა.

ლევან ჯავახიშვილი

ძიუდო

## ჭაბუკთა ჩემპიონატი

საგარეჯოში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი 81-82 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებს შორის. ტურნირი აფხაზეთში დაღუპული საგარეჯოელი სპორტსმენების ხსოვნას მიეძღვნა. ეს შეჯიბრება გახლდათ გაისად იელისში გასამართი ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეების ბოლო შესარჩევი ეტაპი.

იმ ნორჩმა ფალავნებმა, ვინც წინა ტურნირების მიხედვით მოწინავე პოზიციებზე იდგნენ, საგარეჯოშიც გაიმარჯვეს და მოიპოვეს ნაკრების "პირველი ნომრების" სახელი. ეს ძიუდოისტები ნოემბრის ბოლოს სანკტ-პეტერბურგში გაემგზავრებიან თანატოლთა საერთაშორისო ტურნირზე.

საგარეჯოში შეჯიბრება მშვენივრად იყო ორგანიზებული. ტურნირის მთავარი მსაჯი, ევროპის ჩემპიონი გიორგი რევაზიშვილი გახლდათ, 14-15 წლის ძიუდოისტებს შეხვედრებს მსოფლიოს ჩემპიონი ამირან ტოტიკაშვილი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი მერაბ ლოსეურაშვილი და საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი გია ხოსიტაშვილი სჯიდნენ. ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ:

46 კგ. 1. ვახო ხოსიტაშვილი (საგარეჯო), 2. რატი ლომთაძე (ქუთაისი), 3. ვეფხია გოცირიძე (ქუთაისი) და ირაკლი ცირეკიძე (ქუთაისი)

50 კგ. 1. კობა ჯაფარიძე (ქუთაისი), 2. ვახო იტონიევი (ახმეტა), 3. გიორგი გოგიბერია (ფოთი) და ლევან ბაიაძე (გორი)

55 კგ. 1. გელა ბარათაშვილი (ხაშური), 2. ლევან გედენიძე (ქუთაისი), 3. ნიკა გილაშვილი (საგარეჯო) და სიმონ მამარდაშვილი (საგარეჯო)

60 კგ. 1. მორის თადუმაძე (გორი), 2. გიორგი კბილაშვილი (თბილისი), 3. გიორგი თოთლაძე (ქარელი) და რამაზ გიუნაშვილი (მარტყოფი)

65 კგ. 1. ნოდარ ჭინჭარაშვილი (თბილისი), 2. თემურ კოპალიანი (ქუთაისი), 3. გრიგოლ მამრიკიშვილი (ქუთაისი) და ირაკლი ნინილაშვილი (ქუთაისი)

71 კგ. 1. ივანე ნადირაშვილი (დუშეთი), 2. ვეფხია ფალიანი (მესტია), 3. მიხეილ კანდელაკი (ახმეტა) და ნიკა ფოხური (გორი)

78 კგ. 1. დავით ტატიშვილი (მუხრანი), 2. გოგიტა ქავთარაძე (თბილისი), 3. დავით ტყეშელაშვილი (ქუთაისი) და ალექსი ხაზანიშვილი (გორი)

86 კგ. 1. გოდერძი ჯიხვაძე (ქუთაისი), 2. ივანე გოგიშვილი (თბილისი), 3. ლევან გოგინაშვილი (თბილისი) და იოსებ ბეჟიტაშვილი (თბილისი)

მძიმე. 1. შალვა მოსიაშვილი (ხაშური), 2. იოსებ ქანთარია (თბილისი), 3. რომეო პეტუაშვილი (გორი) და გიორგი ლოლაძე (საგარეჯო)

# ჩვენ ორნი ვართ ქუთაისში

ვერის ბაღი.

16 ნოემბერი. დინამო-2 — შევარდენი 68:97, დინამო — კაქტუსი 104:82, აზოტი — მაკაბი-ინტერი 97:72, იმერეთი — ასკ სტუ 78:81

„დინამო-2“-ის ახალგაზრდულმა შემადგენლობამ მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწია წინააღმდეგობა „შევარდენის“ უფრო გამოცდილ მოთამაშეებს. „შევარდენს“ მეტ-ნაკლებად თანაბარძალოვანი შემადგენლობა ჰყავს და წელს, ალბათ, დიდ მიზნებს ესწრაფვის (ცხადია, პირველი-მეორე ადგილები არ იგულისხმება). ახლაც საკმაო სხვაობით მოუგო „დინამო-2“-ს. ყველაზე შედეგიანები, ტრადიციულად, წოწელია (31 ქულა) და ჩხეიძე (22) იყვნენ. დინამოელებში ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ვეფხვაძე გამოირჩეოდა — 17 ქულა.

სულ ცოტა ხნის წინ „დინამოსა“ და „კაქტუსის“ მატჩი ცენტრალური იყო ხოლმე და არა მხოლოდ ტურში. თუმცა, „კაქტუსის“ ახალგაზრდულ გუნდს რომ ვუყურებთ და თამაზ ოქრუაშვილის უნარიც ვიცით, შესაძლოა, ეს დრო ისევ მალე დადგეს. დღესდღეობით კი კაქტუსელებმა, რისი ძალაც შესწევდათ, ის ითამაშეს. „დინამოს“ ვაშაკიძე, ოთიურიძე და ბერძენიშვილი აკლდა, ყველაზე შედეგიანი კი ცხვედიანი იყო — 24 ქულა.

შარშანდელმა ბრინჯაოს პრიზიორმა „აზოტმა“ იოლად მოუგო „მაკაბის“.

ქუთაისელები ძალზე დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდნენ არმიელებთან. უნდა ითქვას, რომ არმიელთა ახალგაზრდული გუნდიც შეხვედრიდან შეხვედრამდე აუმჯობესებს თამაშს.

17 ნოემბერი. მაკაბი — მერანი 70:63, სდასუ — იმერეთი 99:52, კაქტუსი — კოლხა 95:76

სდასუმ, რომელიც წელს, ალბათ, ბრინჯაოს უმიზნებს, ადვილად დაამარცხა ქუთაისელები, რომელთა ამ გათამაშებაში მონაწილეობა მართლაც საქართველოს ჩემპიონატის სახეს აძლევს შეჯიბრებას. ესენი რომ არა, რაღა გამოვიდოდა — თამაშობენ თბილისის გუნდები, რუსთაველისაც, რომელიც აგერაა, ყურის ძირში, და ლტოლვილთა გუნდი „კოლხა“, რომლის წევრებიც, გასაგებ მიზეზთა გამო თბილისში ცხოვრობენ. მთელი დასავლეთი საქართველოდან ერთადერთი „იმერეთია“, ამიტომ არ შეიძლება, მისი ბედი არ გვაინტერესებდეს. ვესაუბრეთ „იმერეთის“ უფროს მწვრთნელს ზაურ დოლაბერიძეს:

— ჩვენ პირველივე ეროვნულ ჩემპიონატში ვმონაწილეობდით და მაშინ მესამე ადგილი დავიკავეთ. მთელი ამ ხნის მანძილზე, რაც ჩვენი გუნდი თამაშობს, ვერ მივაღწიე იმას, რომ გულდამშვიდებული ვიყო მინიმალური ყოფითი პირობების გამო. მოკლედ, ამხელა ქუთაისში გუნდს პატრონი არ გამოუჩნდა. ახლაც, ისევე, როგორც წინა ტურში, მხოლოდ ქალაქის მერის თემურ შაშიაშვილის დახმარებით ჩამოვედით, მან მგზავრობის და ტურნირში მონაწილეობის ხარჯები გამოგვიყო. არადა, ქუთაისი რომ საკალათბურთო ქალაქია, ამის შეხსენება საქართველოში, მე მგონი, არავის სჭირდება. ბევრ ბავშვს სურს კალათბურთის თამაში, მწვრთნელები კი ქუთაისში სულ ორნი დავრჩით, მე და შოთა ჯავახიშვილი. დანარჩენები, პირობების არქონის გამო კალათბურთიდან წავიდნენ. ბიჭებიც, რომ წამოიზრდებიან, საარსებო წყარო სჭირდებათ და გუნდს ტოვებენ. ახლაც, პირველი ტურის შემდეგ ორმა წამყვანმა მოთამაშემ — ხაზარაძემ და ჯალალონიამ დაგვტოვეს. რაღაც საშუალება რომ გამოინახოს საიმისო, 30 ლარი მაინც ჰქონდეთ ბიჭებს ხელფასი, იქნებ კალათბურთი არ მიეტოვებინათ.

— უკეთესობის იმედი თუ გაქვთ?

— როგორც გითხარით, ბატონი თემურ შაშიაშვილი დაგვეხმარა და განკარგულებაც გასცა, რომ პატრონი გამოგვიჩნდეს. ამასთან, ქუთაისის კალათბურთის ფედერაციის თავმჯდომარე დემურ გიორხელიძეც გვეხმარება. არადა, ქუთაისში ნიჭიერ ბავშვებს რა გამოლევს და ჩვენც მეორეხარისხოვან როლს ვერ შევეგუებით. წელს ექვსეულში გვსურდა მოხვედრა, მაგრამ ასეთ პირობებში, რეალურად თუ შევაფასებთ ვითარებას, უმთავრეს მიზნად ალბათ, უმაღლეს ლიგაში დარჩენა გვექნება, მერე კი ვნახოთ...

18 ნოემბერი. დინამო-2 — იმერეთი 79:87, ასკ სტუ — შევარდენი 74:89, აზოტი — კაქტუსი 70:60, დინამო — მაკაბი 94:65

ახალგაზრდა დინამოელები მაგრად დაუდგნენ იმერლებს და პირველი ტაიმი უფრო ბაბიაშვილისა და ვეფხვაძის კარგი თამაშის წყალობით მოიგეს 47:44. მეორეში ქუთაისელებმა თამაში გარდატეხეს და მეტოქეც გატეხეს. ქუთაისელთაგან კარგად ითამაშა ბერეკაშვილმა — 32 ქულა.

არმიელებისა და „შევარდენის“ მატჩის პირველი ნახევარი ძალზე საინტერესოდ წარიმართა. ხან ერთი იყო წინ, ხან მეორე და თითქოს ერთნაირად ტყორცნაში ეჯიბრებოდნენ მეტოქენი ერთმანეთს — სამქულიანს სამქულიანით პასუხობდნენ, გარღვევას გარღვევით, კომბინაციას კომბინაციით. ასე მიდიდნენ ტაიმის ბოლომდე, მაშინ კი შევარდენელებმა სულ რაღაც წუთნახევარში ცხრაქულიან სხვაობას მიაღწიეს, მეორე ტაიმში კი უკვე სულ ისინი იყვნენ წინ და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც. ყველაზე შედეგიანი „შევარდენიდან“ წოწელია იყო — 23 ქულა, არმიელთაგან მინაშვილი — 20 ქულა.

„აზოტი“ შარშან უფრო გამოიყურებოდა „ვითასა“ და „დინამოს“ შემდეგ ნაღდ მესამე გუნდად, წელს კი უფრო უძნელდება მოგება. ახლაც „აზოტმა“ პატარა „კაქტუსთან“ პირველი ტაიმი წააგო 24:26, მეორეში კი ისევ ჯაფარიძის, რომელიც რუსთაველთა ახალი ლიდერი გახდა და გამოცდილი მიქიაშვილის მეცადინეობით გამარჯვებას მიაღწია. „აზოტიდან“ ყველაზე შედეგიანი ჯაფარიძე იყო — 20 ქულა, „კაქტუსიდან“ კი ლოსაბერიძე — 19 ქულა.

დინამოელები კვლავ ვაშაკიძის, ბერძენიშვილისა და ოთიურიძის გარეშე თამაშობდნენ. ამჯერად „მაკაბის“ წინააღმდეგ, თუმცა „დინამოს“, ისევე, როგორც „ვითას“, ალბათ, ათი კაცი მაინც უნდა აკლდეს, რომ საქართველოს ჩემპიონატში რომელიმე გუნდთან რაიმე გაუჭირდეს. მათ ახლაც აშკარა უპირატესობით დაამარცხეს მაკაბელები.

გაერთიანებული ტურის პირველი ოთხი დღის შემდეგ (ტურს შეგნებულად არ ვამბობთ, რადგან გუნდებმა მეტ-ნაკლები ოდენობის მატჩები ითამაშეს და თან „ვითა“ არ მონაწილეობს) ასეთი მდგომარეობაა: „დინამო“ 7 გამარჯვება 7-დან, „შევარდენი“, სდასუ — 6-6 7-დან, „აზოტი“ — 6 (8-დან), „ვითა“ — 5 5-დან, „მაკაბი-ინტერი“ — 4 (8-დან), „იმერეთი“ — 3 (9-დან), ასკ სტუ — 2 (8-დან), „დინამო-2“, „მერანი“ — 1-1 (7-დან), „კოლხა“ — 0 (6-დან).

დღეს ითამაშებენ: „შევარდენი“ — სდასუ, „დინამო“ — ასკ სტუ და „მაკაბი“ — „კოლხა“.

კოტე მგალობლიშვილი


## გინდათ, სამ თვეში უცხო ენას დაეუფლოთ?

ERC

მოაკითხეთ, „ელიტა — სკ“-ს თქვენ აქ შეგიძლიათ ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, ბერძნული, თურქული, არაბული, რუსული და ქართული (უცხოელთათვის) ენების სწავლა. ჯგუფებში 5-5 სტუდენტია და მეცადინეობები ყოველდღე ტარდება, შაბათ-კვირის გარდა სტუდენტისათვის სასურველ ადგილზე და მისაღებ დროში.

გინდათ ერთ თვეში პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობა ისწავლით? მოაკითხეთ „ელიტა — სკ“-ს.

„ელიტა — სკ“-ში შეიძენთ ლიტერატურას, კომპაქტ-დისკებს, ვიდეო თუ აუდიო კასეტებს, რომლებიც ენის შესწავლაში დაგეხმარებიან.

მოაკითხეთ „ელიტა სკ“-ს ოფისს მეტრო დელისთან, ვაჟა-ფშაველას 44-ში, ან დარეკეთ 39-87-25


## ჰარდევეი იოლად გადარჩა

„ორლანდო მეჯიქის“ გამთამაშებელმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ანფერნი ჰარდევეიმ, ჩვეულებისამებრ, ეს სეზონიც შესანიშნავად დაიწყო. საწყის ოთხ მატჩში „პენიმ“ საშუალოდ 21,3 ქულა, 6,3 მოხსნა და 5,3 პასი გააკეთა. მერე კი უეცრად ფეხმა შეაწუხა. იმდენად, რომ საოპერაციო შეიქმნა.

კვირას „ფლორიდა ჰოსპიტალში“ ჰარდევეის მარცხენა მუხლს ართროსკოპიული ოპერაცია გაუკეთეს. კალათბურთელს მენისკის მცირე დაზიანება აღმოაჩნდა. ეს ცნობა არც თუ ისე ცუდია „ორლანდოსათვის“: გუნდის ხელმძღვანელობა უფრო სერიოზულ ტრავმას ელოდა და ვარაუდობდა, „პენი“, სულ ცოტა, ექვსი კვირის მანძილზე ვერ ითამაშებსო. ჰარდევეის ამჟამინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, იგი დაახლოებით სამი კვირის შემდეგ კვლავ ითამაშებს.



ანფერნი ჰარდევეი

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

15 ნოემბერი

**საკრამენტო კინგზი — მილუოკი ბაქსი 100:99, ლოს ანჯელესი ლეიკერზი — ლოს ანჯელეს კლიპერზი 107:100, იუტა ჯაზი — ვანკუვერ გრიზლიზი 104:96, კლივლენდ კავალიერზი — ფილადელფია-76 105:89, ინდიანა პეისერზი — სან ანტონიო სფურზი 93:78, პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი — ნიუ ჯერსი ნეთსი 93:85, ატლანტა ჰოქსი — მაიამი ჰითი 85:77, დენვერ ნაგითსი — ბოსტონ სელტიქსი 82:80, ჩიკაგო ბულზი — შარლოტ ჰორნეთსი 110:87, დეტროიტ პისტონზი — ვაშინგტონ ბულიტსი 95:84**

16 ნოემბერი

**სიეტლ სუპერსონიქსი — საკრამენტო კინგზი 108:96, ვაშინგტონ ბულიტსი — ბოსტონ სელტიქსი 106:92, იუტა ჯაზი — დალას მავერიქსი 88:87, დეტროიტ პისტონზი — კლივლენდ კავალიერზი 102:98, ჩიკაგო ბულზი — ატლანტა ჰოქსი 97:69, ორლანდო მეჯიქი — ტორონტო რეპტორზი 92:87, ფილადელფია-76 — მაიამი ჰითი 91:89, ჰიუსტონ როკიტსი — გოლდენ სტეიტ ვორიორზი 115:103, ნიუ ჯერსი ნეთსი — დენვერ ნაგითსი 106:99, ნიუ იორკ ნიქსი — მინესოტა ტიმბერვულვზი 82:79**

17 ნოემბერი

**პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი — ინდიანა პეისერზი 88:83, გოლდენ სტეიტ ვორიორზი — სან ანტონიო სფურზი 102:92, ლოს ანჯელეს კლიპერზი — მილუოკი ბაქსი 102:92, ლოს ანჯელეს ლეიკერზი — ფინიქს სანზი 102:88 სიეტლ სუპერსონიქსი — ვანკუვერ გრიზლიზი 91:81**

### აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ორლანდო | 4 | 1 | 80,0 |
| ნიუ იორკი | 7 | 2 | 77,8 |
| მაიამი | 5 | 4 | 55,6 |
| ფილადელფია | 4 | 5 | 44,4 |
| ვაშინგტონი | 4 | 5 | 44,4 |
| ბოსტონი | 2 | 6 | 25,0 |
| ნიუ ჯერსი | 1 | 5 | 16,7 |

ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩიკაგო | 10 | 0 | 100 |
| დეტროიტი | 8 | 1 | 88,9 |
| კლივლენდი | 6 | 3 | 66,7 |
| მილუოკი | 5 | 4 | 55,6 |
| ატლანტა | 5 | 5 | 50,0 |
| შარლოტი | 3 | 5 | 37,5 |
| ტორონტო | 3 | 5 | 37,5 |
| ინდიანა | 2 | 6 | 25,0 |

### დასავლეთის კონფერენცია

შუა-დასავლეთის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰიუსტონი | 8 | 1 | 88,9 |
| იუტა | 5 | 2 | 71,4 |
| მინესოტა | 4 | 4 | 50,0 |
| დენვერი | 4 | 6 | 40,0 |
| სან ანტონიო | 3 | 7 | 30,0 |
| ვანკუვერი | 1 | 9 | 10,0 |

წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| სიეტლი | 8 | 2 | 80,0 |
| ლეიკერზი | 7 | 3 | 70,0 |
| კლიპერზი | 5 | 4 | 55,6 |
| პორტლენდი | 6 | 5 | 54,4 |
| საკრამენტო | 3 | 6 | 33,3 |
| გოლდენ სტეიტი | 3 | 6 | 33,3 |
| ფინიქსი | 0 | 9 | 0,00 |

# შესწვდება „ჩიკაგო“ რეკორდს?

„ჩიკაგო ბულზმა“ კვლავ თავბრუდამხვევად დაიწყო სეზონი. 10 თამაშიდან 10 მოგება. ჩიკაგოელები მეტოქეებს საშუალოდ 19,8 ქულით ამარცხებენ. ოთხშაბათიდან კი ნბა-ს ჩემპიონებს სერიოზული გამოცდა ელით — ზედიზედ შვიდ მატჩს სტუმრად გამართავენ. „ბულზი“ ჯერ დასავლეთის კონფერენციის კლუბებს ეწვევა და ექვსი დღის განმავლობაში შეხვდება „ფინიქსს“, „დენვერს“, „იუტას“ და „კლიპერზს“. შემდეგ „ჩიკაგო“ შინ დაბრუნდება, ოღონდ არ ითამაშებს — მადლიერების დღესთან დაკავშირებით ნბა-ში უქმე გამოცხადდება. ამის შემდეგ ჯორდანი და კომპანია ტეხასში გაფრინდებიან და ორ დღეში „დალასს“ და „სან ანტონიოს“ ეთამაშებიან. 3 დეკემბერს თავისივე თანადივიზიონელ „მილუოკის“ შეხვდებიან, ოღონდ სტუმრად. ჩიკაგოს „იუნაიტედ ცენტრში“ კი მხოლოდ 5 დეკემბერს ითამაშებენ „კლიპერზის“ წინააღმდეგ.

ამ „ტურნეს“ შესახებ „ჩიკაგოს“ მწვრთნელები და კალათბურთელები თავ-თავიანთ ვარაუდებს გამოთქვამენ. მთავარი მწვრთნელი ფილ ჯექსონი კმაყოფილი იქნება, თუკი მისი გუნდი შვიდი გასვლითი მატჩიდან ოთხს მაინც მოიგებს. ცენტრი ლუკ ლონგლი კი ამბობს: „ფილი ფრთხილი კაცია. მან კარგად იცის, თუკი ცოტას დაკ[illegible], მაღლ[illegible] შინ ცაში აგვიყვანენ.“ მა[illegible] კი განაცხადა: „ტიპიური მწვრთნელური საქციელი[illegible] შვიდი მოგე[illegible]ბა. ფილ[illegible] კი — ოთხი.“ [illegible] რომ წლევანდელი „ჩიკაგო“ გაცილებით ძლიერია შარშანდელზე, რომელმაც რეგულარული ჩემპიონატის 72 მატჩი მოიგო და ნბა-ს რეკორდი დაამყარა. სხვათა შორის, შარშან ანალოგიურ „გასვლით ტურნეზე“ „ბულზმა“ შვიდიდან ექვსი მატჩი მოიგო.

ახლა „ჩიკაგოს“ შანსი აქვს ნბა-ს კიდევ ერთი რეკორდი დაამყაროს. სეზონის სტარტზე ზედიზედ 15 მატჩის მოგება მხოლოდ 1948 წლის „ვაშინგტონ კეპიტოლზმა“ და 1993 წლის „ჰიუსტონ როკიტსმა“ მოახერხეს. ამის თაობაზე ჯორდანს შემდეგი აზრი აქვს: „თუკი ამას მივაღწევთ, დიდებული იქნება. მაგრამ თუკი მხოლოდ რეკორდისთვის ვითამაშებთ, დიდ შეცდომას დავუშვებთ.“

ფილ ჯექსონი კი აცხადებს, რომ მის მოთამაშეებს უყვართ რეკორდები და კარგად უწყიან მათი გემო: „ბიჭებს ყურადღება სიამოვნებთ. მოსწონთ, როცა ხალხი ფეხზე წამოუდგება ხოლმე მათ. ეს ჩვენი გუნდის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია.“



რეჯი მილერი

## რეჯი მილერი ბრალს დებს...

„ინდიანა პეისერზმა“ მთლიანად მსაჯებს გადააბრალა ამასწინდელი მარცხი „ჰიუსტონ როკიტსთან“. მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა თქვა: „ნბა-ში 27 წელიწადი ვარ და თამაშის შემდეგ ასეთი სიტყვები არასდროს მითქვამს. ეს ლიგის სირცხვილია. სამარცხვინოა ისიც, რომ მსაჯებმა მოგება ხელიდან გამოგვაცალეს.“ ინდიანელთა რისხვა ედ მიდლტონს, ტერი დიურამს და ტ[illegible] ბროზერზს ატყდება თავს — მატჩის ბოლო წუთებზე ისინი აშკარად ჰაკიმ ოლაჯუონის მხარეს იყვნენ და 88:90 ამიტომაც წავაგეთო.

„ინდიანას“ ლიდერი, ოლიმპიური ჩემპიონი რეჯი მილერი მეტად განრისხებულია: „ეს არბიტრები ხუმრობის ხასიათზე იყვნენ. რაც მათ ჩვენს გუნდს გაუკეთეს, მხოლოდ კომიკური თუ იყო. ეს ხალხი ლიგაში მსაჯობს და მიაჩნიათ, რომ ისინი თვით ნბა-ზე დიდები არიან. სინამდვილეში ისინი ყველაზე უარესნი არიან.“

ნბა-ს ვიცე-პრეზიდენტმა როდ თორნმა თქვა, რომ სანამ მატჩის დაწვრილებით პატაკს არ მიიღებს, გადაწყვეტილებას ვერ გამოიტანს. ლარი ბრაუნი და რეჯი მილერი კი მწარე-მწარე გამონათქვამებისთვის შეიძლება დააჯარიმონ კიდეც.

## „ნიუ ჯერსიში“ სიტუაცია დაიძაბა

ზაფხულში „ნიუ ჯერსი ნეთსმა“ ხუთწლიანი კონტრაქტი დადო მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის მწვრთნელ ჯონ კალიპარისთან. ამ ხნის განმავლობაში კალიპარის 15 მილიონი დოლარი უნდა მიეღო, მაგრამ ახლა გაირკვა, რომ კონტრაქტი არ გაფორმებულა. მწვრთნელსა და კლუბს შორის გაფორმდა, ე.წ. დაქირავების მემორანდუმი, რაც კონტრაქტისგან სრულიად განსხვავებული რამაა. ისიც გაირკვა, რომ კლუბი და კალიპარის აგენტი შეთანხმებულან, მემორანდუმის პირობებს სამი წლის შემდეგ ახლიდან გადავხედავთო.

კალიპარიმ საზონი წარუმატებლად დაიწყო — ზედიზედ ოთხჯერ წააგო. მან სასტარტო ხუთეულიდან ამოაგდო რობერტ პეკი და იგი ახალბედა კერი ქაითლზით შეცვალა. ამან მწვრთნელს დიდი კრიტიკა დაატეხა თავს.

„ნეთსის“ რამდენიმე კალათბურთელმა დაუფარავად გააკრიტიკა კალიპარის სამწვრთნელო მეთოდები. მათ აღნიშნეს, რომ კალიპარი კოლეჯური სტილით ამზადებს გუნდს. მწვრთნელს ოთხსაათიანი ვარჯიშებიც დაუწუნეს, აქამდე, ასეთი ხანგრძლივობის წვრთნა ნბა-ში აქამდე არავის გაუგიაო.

„ნიუ ჯერსიში“ გამეფებულ დაძაბულ სიტუაციას 26 სანტიმეტრიანი ცენტრის შონ ბრედლის შესახებ ჭორებიც ამძიმებს. უკვე დამაჯერებლად ამბობენ, ბრედლი სხვა გუნდში გაიყიდებაო, მაგრამ „ნეთსის“ გენერალურმა მენეჯერმა ჯონ ნეშმა თქვა: „ სხვა გუნდებს ყოველთვის აინტერესებდათ ჩვენი მოთამაშეები, ისევე როგორც ჩვენ — მათი. ნბა-ში ეს ნორმალური პროცესია. მაგრამ ბრედლის გაყიდვასთან დაკავშირებულ ჭორებს საფუძველი არა აქვთ. ბრედლი არ იყიდება!“



შონ ბრედლი

## ფიტჩი უსიამოვნო ზღურბლზე

„ლოს ანჯელეს კლიპერზის“ მწვრთნელი ბილ ფიტჩი რეკორდის მიჯნაზე დგას. მისი გუნდის ერთი მარცხიც და ფიტჩი შეიქმნება პირველი მწვრთნელი ნბა-ს ისტორიაში, ვისაც 1000 მატჩი ექნება წაგებული. რა თქმა უნდა, ეს რეკორდი არცთუ სასიამოვნოა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი მაინც დამყარდება: „კლიპერზი“ ნაღდად არ არის ისეთი გუნდი, რომელიც სეზონში დარჩენილ 73-ივე შეხვედრას მოიგებს და თავის მწვრთნელს ამ სამწუხარო ზღვარს არ გადაალახვინებს.

## მიკიბულ-მოკიბული

დიდი ვნებათღელვა იყო მეხიკო-სითიში, სადაც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (სოკ) ოთხდღიანი თავყრილობა გამართა.

სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადის ორგანიზატორებს ახარეს, რომ დამატებით 600 კაცის მასპინძლობა მოუწევთ. ნაგანოს (იაპონია) ზამთრის 1998 წლის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ ხარჯი კიდევ 166 მილიონით გაზრდიათ, მაგრამ სწრაფდაშვების ტრასის გამო მაინც ვერ მორიგებიან თხილამურების ფედერაციას: ეს სასტარტო ბაქნის მაღლა გადატანას ითხოვს, მასპინძლებს კი ამის ნება არა აქვთ იმიტომ, რომ ამით ნაკრძალში იჭრებიან.

სიდნეელებს საბაიდარო სლალომის თავიდან მოშორება სურთ, რაკი მის ტრასას მერე ვერაფერში გამოიყენებენ. კორეული ორთაბრძოლა ტაეკვონდო და სუპერმენთა სპორტი — ტრი-ათლონი დამტკიცების პროცესშია ფაქტიურად, ბიჩ-ვოლი — პლაჟის ფრენბურთი და სოფთბოლი — ქალთა კეტბურთი კი მაგრად დგანან და პროგრამიდან ფეხს არ იცვლიან.

*

ახალი თავკაცი ჰყავს მსოფლიოს ბალახის ჰოკეის საძმოს. იგია 59 წლის ესპანელი, 1960 წლის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი ხუან-ანხელ კასადო. მას უმალ დიდი სიახლე შემოუღია: ამიერიდან თურმე სისტემატურად გაიმართება ე. წ. მსოფლიო სერიალი, რომელშიც ფედერაციის 120-ვე წევრის ეროვნული ნაკრებები ითამაშებენ. ერთი სიტყვით, შველიათ ჩვენს ქუთათურ მეჭოროლეებს — ჭოროლი ბალახის ჰოკეის ქართულ-ხალხური ვარიანტია!

*

ბრიტანელები კრივის სასტიკი წინააღმდეგი კი არიან, მაგრამ კვირას ქალთა კრივიც შეიწყნარეს. იგი ჯერჯერობით მხოლოდ სამოყვარულო იქნება. ასოციაციის სხდომაზე სიახლეს 10 დელეგატმა დაუჭირა მხარი, 4 წინააღმდეგი იყო, სამმა კი თავი შეიკავა.

„სარბიელში“
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

## რაგბი

### „ჰაინეკენის“ ევროპის თასი

მეოთხედფინალი

**16. XI. კარდიფი** (უელსი) 22 (9) (ლ: ვოქერი; გ: დევისი; ნს: დევისი 3, ჯარვისი 2) — **ბასი** (ინგლისი) 19 (6) (ლ: თომასი; გ, 4ს: ქეთი) (12 ათასი მაყურებელი)

**ლესთერი** (ინგლისი) 23 (3) (2ლ: ქოქრელი, ლაილი; 2გ, 3ს: ლაილი) — **ჰარლიქვინზი** (ლონდონი, ინგლისი) 13 (5) (2ლ: ლუჯერი, ქარლინგი; ს: ჩელინორი) (7 ათასი)

**დაქსი** (საფრანგეთი) 18 (18) (2ლ: მოლა; გ, 2ს: დურთი) — **ტულუზი** (საფრანგეთი) 26 (2ლ: მარფენი, საჯარიმო; გ: დეილო, კასტენიედი; 4ს: დეილო 2, კასტენიედი 2) (14 ათასი)

**17. XI. ბრივი** (საფრანგეთი) 35 (26) (2ლ: ლაბრუსი, ვენდიტი; 2გ, 7ს: ლამეზონი) — **ჰლანეჰლი** (უელსი) 14 (7) (2ლ: ი. ევანსი; 2გ: ბოტიკა) (11 ათასი)

ნახევარფინალი (4-5 იანვარს): ლესთერი — ტულუზი, ბრივი — კარდიფი. მასპინძლის არჩევანი განაპირობა იმან, რომ ლესთერსა და ბრივს ჯგუფში უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდათ

კარდიფის „არმზ პარკზე“ ინგლისურ-უელსური დუელი გაიმართა. გარდატეხა მეორე ნახევარში მოხდა, როცა ნაკრების ყოფილმა გარემარბმა და თანამეგობრობის თამაშების მონაწილე თარჯმორბენალმა, ზანგმა ნაიჯელ ვოქერმა გაიტანა ლელო.

მასპინძლებმა ათამაშეს ლიგის რაგბიდან გამოსყიდული სუპერ-ვარსკვლავი, 34 წლის ჯონათან დევისი, რომელმაც განაცხადა, „ჰაინეკენის“ თასი რომ არა, რაგბში არც დავბრუნდებოდი, რადგანაც რაგინდარა ქვეყნის საკლუბო პირველობა ერთობ დაბალი დონისააო.

ჯონათანმა რაგბში რე-ადაპტაცია, ალბათ, უკვე გაიარა და ნაკრების მწვრთნელმა ქევინ ბაურინგმაც უმალ უხმო გუნდში, რომელიც 1 დეკემბერს ავსტრალიას უნდა ეთამაშოს. 10 ნომერმა დევისმა უელსის რაგბის ნაკრებში უკანასკნელად — 27-ედ 1988 წლის მიწურულს ითამაშა, მერე კი 13-კაცა ბურთაობაში უელსის 13, ხოლო ბრიტანეთის 14 კეპი მოიხვეჭა.

დიდი შინა-ომი ჰქონდათ ფრანგებს. ტულუზელთა მძლავრმა შერკინებამ, 8 ნომერი სილვენ დიპანი რომ თავკაცობს, შესვენების შემდეგ გატეხა დაქსისა. ნახევარფინალში დიპანისა და ლესთერელთა ყოჩის — ბებერი დინ რიჩარდსის საარაკო შერკინებაა მოსალოდნელი.



## ჯონათან ჯადოქარი ბრუნდება

### ტრადიციული სცენარით

ბელფასტი. რეივენჰილი. 7 ათასი მაყურებელი

ალსთერი 26 (16) (2ლ, 2გ, 4ს) — ავსტრალია 39 (12) (5ლ, 4გ, 2ს)

ამასობაში კვლავ, ეს უკვე მერვედ გაიმარჯვეს „ვოლაბებმა“, იტალიისა და შოტლანდიის მოვლის შემდეგ ირლანდიაში რომ სტუმრობენ. სამხრეთელთა აყლაყუდა კაპიტანმა ჯონ ილზმა მე-5 წუთზევე გაიტანა ლელო, მაგრამ მერე მასპინძლები, ამ „ვოლაბთა“ წინამორბედები 1984 წელს რომ დაუმარცხებიათ, 13:5 გაიჭრნენ წინ.

გარდატეხა აქაც მეორე ნახევარში მოხდა: 48-ე წუთზე ავსტრალიელ მორკინალთა მიძალება საჯარიმო ლელოთი დასრულდა, ერთი წუთის შემდეგ კი ბებერმა დევიდ ქემფიზიმ, ვისაც მწვრთნელმა გრეგ სმითმა ტესტ-გუნდში დაბრუნების ბოლო შანსი მისცა, მარცხენა ალამთან გაიტანა ლელო და ანგარიში 26:16 გახადა. სტუმართა დანარჩენი ორი ლელო ჯო როფის ანგარიშზეა. მცველმა ბერქმა 5 გოლი გაიტანა, 10 ნომერმა ნოქსმა — ერთი.

### ბიჭ-ბუჭები ვაჟკაცთა წინააღმდეგ

მეორე ტესტი

16.XI. ბუენოს-აირესი.ფეროკარილ-ოესტე
20 ათასი მაყურებელი

**არგენტინა 21:44 სამხ. აფრიკა**

პუმები: ხურადო; ალბანეზე, სიმონე, არბისუ, სოლერი; სილეი (კესადა), მირანდა; გრაუ, მენდესი, ხალილი (სკელსო); იანესი, სპორლედერი (ვილ-თემფერლი); მარტინი, პერესი, კამერლინქსი. — 2ლ: მარტინი, მირანდა; გ: სილეი; 3ს: სილეი 2, კესადა

ქურციკები: ჟუბერი; სმოლი (სნაიმანი), მულდერი, ლერუ, ოლიფიე; პონიბალი, ფანდერვესტჰოიზენი; თერონი (ფანდერლინდე), დოლტონი, გარვი; ვიზე, ენდრიუზი (ფანპირდენი), კრუგერი, ფენტერი, ტაიხმანი (ფივი). — ხლ: მულდერი, ენდრიუზი, კრუგერი, ფენტერი, სმოლი, ლერუ; 4გ, 2ს: პონიბალი

საწყის 7 წუთში სტუმრები 12 ქულით დაწინაურდნენ, მაგრამ მასპინძლებმა 10:12-მდე შეამცირეს ანგარიში. პირველი ნახევარი 15:27 დასრულდა. მეტი „პუმებმა“ ვერაფერი შეძლეს და პირველი ტესტის დარად (15:46) წააგეს, რაც მათმა მორკინალმა როლანდო მარტინმა იმით ახსნა, რომ არგენტინელები რაგბს თამაშად აღიქვამენ, სამხრეთაფრიკელები კი — საქმედ და მეტოქეს მცირედ შეცდომასაც არ პატიობენ.

### აზიაში არაფერი შეცვლილა

წინა შაბათს, ტაიპეიში, სამხრეთი კორეის **41 (11) (6ლ) : 25 (12) (4ლ)** ძლევით აზიის. ჩემპიონობა ზედიზედ მესამედ, სულ კი **მე-11**-ედ მოიპოვა იაპონიამ. მესამე ადგილი ტრადიციულად დაიკავა ჰონკონგმა, რომელმაც პლეი-ოფი საზარელი ანგარიშით **114:12** მოუგო მასპინძელ ტაივანს. ტურნირის ერთადერთ საგულისხმო მატჩში კორეამ ისევ, ამჯერად **26:22** აჯობა ჰონკონგს და ფინალში გავიდა.

## ჩოგბურთი

### გრაფთა შვება და [illegible]

[illegible]

პირველი წრე. ენ მილერი (აშშ) — ლინდზი დავენპორტი (აშშ, 7, ოლიმპიური ჩემპიონი) 6:4, 7:6 (7-3)

მეორე წრე. ჩანდა რუბინი (აშშ) — ივა მაიოლი (ხორვატია, 6) 5:7, 6:2, 6:1; ზანგ რუბინს მაჯის ოპერაციის გამო ბევრი გაცდენოდა და კლასიფიკაციაში მე-18 ადგილამდე ჩამოქვეითებულიყო.

ლიზა რეიმანდი (აშშ) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 2) 6:2, 6:3; 34-ე ჩოგანმა რეიმანდმა კარიერის პირველი ტიტული ოთხი კვირის წინ, კვებეკში (კანადა) მოიგო.

მარიან ვერდლ-ვიტმაიერი (აშშ, 114-ე ჩოგანი) — ანკე ჰუბერი (გერმანია, 4) 2:6, 7:6 (7-4), 6:1. ჰუბერს მეორე ხელში მატჩის მოგებას ორი ქულა დააკლდა, მერე კი აიშვა და ბლომად იყვირა და ჩოგანიც კორტს ახეთქა.

შტეფი გრაფი (გერმანია, 1) — ემი ფრეზერი (აშშ) 6:3, 6:3

მეოთხედფინალი (მესამე წრე). გრაფი — რუბინი 6:0, 6:3; ვერდლ-ვიტმაიერი — ბარბარა პაულუსი (ავსტრია, 8) 6:2, 6:3; იანა ნოვოტნა (ჩეხეთი, 3) — მილერი 6:3, 6:0; იაიუკ ბაზუკი (ინდონეზია) — რეიმანდი 5:7, 6:3, 6:3

ნახევარფინალი. გრაფი — ვერდლ-ვიტმაიერი 6:2, 7:5; ნოვოტნა — ბაზუკი 6:3, 6:1

ფინალი. ნოვოტნა — გრაფი 6:4 (32 წუთში). შტეფის წამოტკივდა წელი და დანებდა. მას მთელი ღამე უმკურნალია, მაგრამ ტკივილი მაინც ვერ დაუყუჩებია. ეს გრაფის კარიერაში მეორე შემთხვევა, როცა თამაში ვერ შეძლო. პირველი ოქტომბერში იყო ლაიფციგში, სადაც მუხლმტკივანი გრაფი ჰუბერს უთამაშებლად დანებდა.

არადა, გერმანელი ქალი ერთობ გახარებული ყოფილა იმით, რომ მისი 58 წლის მამა, სახელად პეტერი, 15-თვიანი პატიმრობის შემდეგ 3,3 მილიონი დოლარის საფასურად თავდებით გაათავისუფლეს. გრაფები ისე შეუწუხებია მათი ოჯახური საქმეების გამო ქვეყანაში შექმნილ აჟიოტაჟს, რომ თურმე ამერიკაში ფიქრობენ გადასვლას.

ნოვოტნამ წელს მეოთხე ტიტული მოიხვეჭა, გრაფს კი 29-ე შეხვედრაში მხოლოდ მეოთხედ ძლია.

### და კვლავ ვუდები

ჰართფორდში (კონექტიკუტის შტატი) ავსტრალიელებმა — მარკ ვუდფორდმა და თოდ ვუდბრიჯმა წლის მე-12, კარიერის კი 41-ე ტიტული მოიხვეჭეს: წყვილთა მსოფლიო პირველობის კვირის ფინალი 6:4, 5:7, 6:2, 7:6 (7-3) მოუგეს სებასტიან ლარო (კანადა) — ალექს ობრაენის (აშშ) წყვილს, ვისთანაც პარასკევს ჯგუფის თამაშში სამ ხელში წააგეს. თითო „ვუდს“ 60 ათასი ამერიკული დოლარი ერგო.

## აის-ჰოკეი

# ტაბლო თავს დაემხოთ

### ეროვნულ ლიგაში

**15 ნოემბერი. ოტავა — ჩიკაგო 4:3, ვაშინგტონი — მონრეალი 3:1, ფლორიდა — აილენდერზი 3:3, დეტროიტი — სან-ხოსე 5:1, დალასი — ანაჰაიმი 4:3**

ხუთ მატჩში მხოლოდ ერთმა კლუბმა აილო სტუმრად ქულა — ლიდერ ფლორიდისთვის ქულის ართმევა აუტსაიდერმა აილენდერზმა მოახერხა. ეს კინგი — გრანი — პალფის წამყვანი სამეულის დამსახურებაა. ამათი შეჩერება ბოლო მატჩებში მარტო ნიუ-ჯერზიმ შეძლო. წინა შეხვედრის მსგავსად, სამივემ თითო-თითო გოლი გაიტანა. აილენდერზი 3:1 იგებდა, მაგრამ შეპარდის (წელს 7 გოლი) და ბარნის მიერ 10 წამში გატანილმა შაიბებმა „პანთერები“ იხსნა.

შვედმა დებიუტანტმა დაკელმა მხოლოდ 12,5 ათასი მაყურებლის თვალწინ მეორე ახალბედის — გარდნერის მიერ წამოწყებული კომბინაცია დაასრულა და ოტავას მეტად საჭირო ორ ქულა მოუტანა დასავლეთის ერთ-ერთ ლიდერ — ჩიკაგოსთან. მატჩი ახალბედების ორთაბრძოლად იქცა. ჩიკაგოელმა მორომ (1+2) რუს ჟამნოვთან (2+1) ერთად სამივე გოლში დაიდო წილი, ოტაველმა რედენმა კი პირველი საპასუხო შაიბა შეაგდო და კლუბის 125-წუთიანი უგოლო სერია შეწყვიტა.

დასავლეთის კიდევ ორმა ლიდერმა — დალასმა და დეტროიტმა შავი დღე აყარეს ანაჰაიმსა და სან-ხოსეს. დალასს მთელი ძალების მოკრება დასჭირდა და მხოლოდ ბოლო პერიოდში შეიტანა თამაშში გარდატეხა. ერთობ იმარჯვეს ზუბოვმა და ახალბედა ლანგებრუნერმა. მანამდე ანაჰაიმელმა სელიანემ მე-11 გოლი გაიტანა.

დეტროიტს, ეტყობა, კარგად ახსოვს 1994 წლის თასის გათამაშებაში სან-ხოსესგან ნაწვნევი სირცხვილი, რაკილა კალიფორნიელ „ზვიგენებს“ ახლა იოლად ძლია. დეტროიტს გამარჯვებაში კარგად გამოყენებული რიცხობრივი უპირატესობა წაეხმარა. ნჰლ-ში თავისი პირველი შაიბა შეაგდო 24 წლის შვედმა დებიუტანტმა ჰოლმსტრომმა, გუნდის კაპიტანმა აიზერმანმა კი 4 (1+3) ქულა დააგროვა.

მონრეალის გამოჯამრთელებულმა გოლკიპერმა ტიბომ დებიუტანტი თეოდორი შეცვალა და უიღბლოდაც — ვაშინგტონს ვერაფერი მოუხერხა. მონრეალელმა სავაჟმა მე-9 გოლი გაიტანა.

**16 ნოემბერი. პიტსბურგი — რეინჯერზი 3:8, მონრეალი — ვანკუვერი 6:1, აილენდერზი — ოტავა 1:4, ნიუ-ჯერზი — ტამპა 6:3, ფილადელფია — სან-ხოსე 2:2, სენტ-ლუისი — კალგარი 2:0, კოლორადო — ჰარტფორდი 4:4, ფინიქსი — ტორონტო 3:2, ბუფალო — ბოსტონი გადაიდო**

რეინჯერზმა კვლავ გაანადგურა პიტსბურგი და ამჯერადაც 8 შაიბა შეუგდო „პინგვინებს“ (16 ოქტომბრის შეხვედრა 8:1 დასრულდა). ლიგის უსუსტესი დაცვა პირველ პერიოდში როგორღაც აკავებდა გააფრთებულ რეინჯერებს, მაგრამ მეორეში ძალა აღარ ეყო და 6 შაიბა გაუშვა. ნიუ-იორკის თითქმის ყველა წამყვანმა მოთამაშემ იხეირა: კოვალიოვმა, სუნდსტრიომმა, გრეცკიმ, რობიტაილმა — თითოჯერ, მესიემ — ორჯერ. მასპინძელთა აგრესორებმა ამას უხეშობით უპასუხეს, ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერმა იაგრმაც ორი პასის გარდა ვერაფერი გააჩერა.

ჩიკაგოსთან გამარჯვებით ფრთაშესხმულმა ოტავამ აილენდერზიც ძლია. როგორც წინა შეხვედრაში, აქაც დებიუტანტებმა — რედენმა და გარდინერმა (პირველი ორი შაიბა ნჰლ-ში) გამოიჩინეს თავი.

ნიუ-ჯერზი ორი პერიოდის შემდეგ 1:3 აგებდა ტამპასთან და თამაშითაც არ ბრწყინავდა, მაგრამ გოლკიპერ ბროდოს სათადარიგო დანჰემით (მე-3 თამაში ნჰლ-ში) შეცვლის შემდეგ გამოცოცხლდა და 5 უპასუხო გოლი გაიტანა. როლსტონმა ჰეთთრიქი შეასრულა, ორიც ვეტერანმა მაკლინმა შეაგო. ტამპამ ბოლო 7 თამაშში მხოლოდ 3 ქულა დააგროვა და დივიზიონში ბოლოსწინა ადგილზე გადაინაცვლა.

მონრეალმა პირველ 15 წუთში გატანილი 3 გოლით გადაწყვიტა შეხვედრის ბედი. დარჩენილ დროში ლიდერებმა ქულების მარაგი შეივსეს. წამყვანმა ცენტრმა კოივუმ 2 პასი გააკეთა და 26 (9+17) ქულით ბომბარდირებში მეხუთეა.

26 ქულა, ოღონდ 12 გატანილი გოლი დაუგროვდა შვედ სუნდინს მას შემდეგ, რაც ლიგის ერთადერთ ალბანურ წარმომავლობის მოთამაშეს, პოლიციელ დომის ორი საგოლე პასი მიაწოდა. ამან ვერ იკმარა ფინიქსის დასამარცხებლად, რომელმაც ბოლო პერიოდში 4-ჯერ მეტად შეუტია და რენიკის ორი შაიბის წყალობით 28 ოქტომბრის შემდეგ პირველად მოიგო.

მცირე ტრავმის შემდეგ მწყობრში ჩამდგარმა ლეკლერმა ორი შაიბით (12) დააწინაურა ფილადელფია. სან-ხოსეს დიდი ძალისხმევა და მონდომება დასჭირდა თამაშის გადასარჩენად.

საუკეთესო ბომბარდირი 32 (11+21) ქულით კვლავ ფორსბერგია. მეორეზე საკიკია 32 (9+23). ჰარტფორდთან დაძაბული შეხვედრის ორი პერიოდის შემდეგ მასპინძლები 1:4 აგებდნენ, მაგრამ კოლორადომ სტუმრები თავის ზონაში ჩაკეტა და ოზოლინშის შაიბის შემდეგ (6), რომელსაც სწორედ ფორსბერგმა მიაწოდა, ქულა გადაარჩინა. ორ-ორი გოლი ჰარტფორდელმა პრიმომ (6) და კოლორადოს გენერალური მენეჯერის ვაჟიშვილმა ლაკრუამ (9) გაიტანეს.

განთქმულმა სენტ-ლუისელმა მეკარემ ფიურმა სეზონში პირველად ითამაშა მშრალად, მისმა ახალგაზრდა გუნდელმა იორკმა კი გადამწყვეტი შაიბა (6) შეუგდო კალგარის.

იშვიათი რამ მოხდა ბუფალოს ახალ არენაზე. მატჩის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, როდესაც სტადიონის პერსონალი მოსამზადებელ სამუშაოებს ამთავრებდა, არენის შუაში დაკიდულ დიდ ტაბლოს ტროსი მოწყდა და ეს 40 ათას გირვანქიანი მასა ყინულს დაენარცხა. საბედნიეროდ, ორივე გუნდის მოთამაშეებს დამთავრებული ჰქონდათ მოთელვა და ყინულზე არ ყოფილან. მატჩი განუსაზღვრელი ვადით გადაიდო.

**17 ნოემბერი. სენტ-ლუისი — ანაჰაიმი 4:2, ჩიკაგო — ლოს-ანჯელესი 4:2, ედმონტონი — დალასი 3:7**

ჩინებულად მოთამაშე სენტ-ლუისს ბოლო 5 შეხვედრაში ქულაც არ დაუკარგავს — ამჯერად ლიგის აუტსაიდერი ანაჰაიმი დაჯაბნა. კემპბელმა და კურტნოლმა სტუმართა უხეში შეცდომებით ისარგებლეს და გადამწყვეტი ორი შაიბა შეაგდეს. ამ გამარჯვების შემდეგ შეიძლება ექსპერიმენტების მოყვარული კინენიც დაწყნარდეს — მან 3 წლის განმავლობაში 100 მოთამაშე გაცვალ-გამოცვალა.

ჩიკაგოს ქულების იგივე რაოდენობა აქვს, რაც სენტ-ლუისს; არადა, ცოტა ხნის წინ დივიზიონის ლიდერს — დალასს ეწეოდა. ჩიკაგოს ოთხივე გოლი რუსებმა — გამოჯანმრთელებულმა ხრისტიჩმა (2 შაიბა), მისმა პარტნიორმა იაჩმენევმა და ციპლაკოვმა გაუტანეს. ჩიკაგოელმა სავარმა 852-ე პასი გააკეთა და მე-12 ადგილზე მყოფ კლარკს დაეწია.

დალასმა, როგორც იქნა, მთელი საიერიშო ძალები გამოიყენა და ედმონტონის კარში 7 შაიბა შეაგდო. თამაში უხეშობითა და ბათქა-ბუთქით გამოირჩა, რაც დალასის მოთამაშეებს მოუხდათ. საუკეთესო იმ საღამოს ადამსი (4 (2+2) ქულა) იყო. სეზონის საუკეთესო დებიუტანტმა სნაიპერმა სმითმა მე-11 გოლი გაიტანა.

**კონფერენციათა ლიდერ-აუტსაიდერები:**

**აღმოსავლეთი: ფლორიდა 27 ქულა (18 თამაში), ნიუ-ჯერზი და ჰარტფორდი 21 (17), ფილადელფია 21 (21), ვაშინგტონი 18 (18) ... პიტსბურგი 11 (18), აილენდერზი 14 (18), ტამპა 14 (17)**

**დასავლეთი: კოლორადო 30 (22), დალასი 27 (19), დეტროიტი 24 (20), სენტ-ლუისი 22 (20), ჩიკაგო 22 (21), ლოს-ანჯელესი 21 (19), ვანკუვერი 18 (17) ... ანაჰაიმი 11 (20), ფინიქსი 14 (17), ტორონტო 16 (19)**

**სამველ ღარიბიანი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ ბიბინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29